15 სექტემბერს ახალი სასწავლო წელი დაიწყო!

მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №17(79) 2014 წ. 1-15 სექტემბერი ფასი 50 თეთრი

საგარეჯოს I საჯარო სკოლა

საგარეჯოს II საჯარო სკოლა

საგარეჯოს III საჯარო სკოლა

საგარეჯოს IV საჯარო სკოლა

პირველი ზარის მოლოდინში

გიორგიწმინდის საჯარო სკოლა

გიორგიწმინდის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

საგარეჯოს №1 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

საგარეჯოს №3 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება

მუნიციპალური გვერდი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომები

2014 წლის 3 სექტემბერი

2014 წლის 3 სექტემბრის ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომას ამავე საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან საკრებულოს დეპუტატებს და დამსწრე საზოგადოებას გააცნო დღის წესრიგი.

დღის წესრიგის №1 საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის“ შესახებ მოხსენება გააკეთა **ფრიდონ ბურდულმა.** როგორც მან განმარტა,ამ წესის მიხედვით საკრებულოს წევრების მიერ საკრებულოს საქმიანობაში მონაწილეობის მიღების, ამომრჩევლებთან შეხვედრების, ასევე, საკრებულოს და საკრებულოს თავმჯდომარის დავალებების შესრულებისათვის, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების ოდენობა განისაზღვრება. კონკრეტულად კი, ამ ხარჯების ასანაზღაურებლად ხარჯის ოდენობა განისაზღვრება საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ ერთიანი სახით მოწოდებული ინფორმაციის (მოხსენებითი ბარათის სახით) საფუძველზე. ასე,რომ საკრებულოს წევრის მიერ მთელი თვის განმავლობაში საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების სხდომებში მონაწილეობით, საკრებულოს დროებით სამუშაო ჯგუფებში საკრებულოს თითოეული წევრის ფაქტობრივი დასწრებით, ამომრჩევლებთან შეხვედრების მონაცემებით აისახება მათი ყოველთვიური გასამრჯელოს ოდენობა. სწორედ საკრებულოს აპარატის უფროსის მიერ წარდგენილი მოხსენებითი ბარათის მიხედვით საკრებულოს თავმჯდომარე უფლებამოსილია, საკრებულოს კონკრეტული წევრისათვის განსაზღვროს ანაზღაურების (375 ლარი) ნაკლები ოდენობა. საქართველოს საგადასახადო კოდექსის გათვალისწინებით

დღის წესრიგის მეორე საკითხზე

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების“ შესახებ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 25 ივლისის №29 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა* ძახა მარგებაძემ.**

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, აღნიშნულ დებულებაში დამატება „მუხლი 3[1]“, რომელშიც განსაზღვრულია „გამგეობის ბეჭედი, შტემპი და ბლანკი“. დებულებას, ასევე დაემატა „მუხლი 10[1] – საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულები“. ამ მუხლის მიხედვით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულებია:

1. გომბორის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც მოიცავს სოფლებს: გომბორი, რუსიანი, ვერონა, ვაშლიანი, ასკილაური; 2. უჯარმის ადმინისტრაციული ცენტრი, რომელიც მოიცავს სოფლებს: უჯარმა, პალდო, მუხროვანი; 3. კოჭბანის ადმინისტრაციული ერთეული: კოჭბანი, ოთარაანი, სასადილო, გორანა, ხინჭები, იკვლიე გორანა; 4. ხაშმი; 5. პატარძეული; 6. წყაროსთავი; 7. ნინოწმინდა; 8. ქალაქი საგარეჯო; 9. გიორგიწმინდის ადმინისტრაციული ერთეული: გიორგიწმინდა, ანთოკი, მარიამჯვარი, ქვემო სამგორი; 10 თოხლიაური; 11. სათაფლე; 12. მანავის ადმინისტრაციული ერთეული: მანავი, ზემო ბურდიანი; 13 დიდი ჩაილური; 14. პატარა ჩაილური; 15. კაკაბეთი; 16. ვერხვიანი; 17. ყანდაურის ადმინისტრაციული ერთეული: ქვემო ყანდაურა, ზემო ყანდაურა; 18. ბადიაური; 19. მზისგული; 20. შიბლიანი; 21. იორმუღანლოს ადმინისტრაციული ერთეული: მუღანლო, ქეშალო; 22. დუზაგრამის ადმინისტრაციული ერთეული: პალდო, წიწმატიანი, დუზაგრამა; 23. ლამბალოს ადმინისტრაციული ერთეული: ზემო ლამბალო, ქვემო ლამბალო; 24. თულარის ადმინისტრაციული ერთეული: კაზლარი, თულარი; 25 უდაბნო.

რაც შეეხება დებულების მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტს, ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ზ“ სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახური“.

დებულების მე-12 მუხლის მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„ 7. სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის ძირითადი ფუნქციებია: სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის საკითხებში მუნიციპალიტეტისათვის დელეგირებული უფლებამოსილების განხორციელების უზრუნველყოფა“.

დებულების მე-14 მუხლში შეტანილი ცვლილებებით შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

„მუხლი 14. გამგებლის წარმომადგენელი“. მუხლის მიხედვით: გამგებლის წარმომადგენელი არის ადგილობრივი თვითმმართველობის საჯარო მოხელე, რომელსაც „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს გამგებელი; გამგებლის წარმომადგენელი თავის უფლებამოსილებას ახორციელებს მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულში. გამგებლის წარმომადგენლის სამოქმედო ტერიტორიას განსაზღვრავს გამგებელი; გამგებლის წარმომადგენელი ანგარიშვალდებულია და მასზე სამსახურებრივ ზედამხედველობას ახორციელებს გამგებელი.

რაც შეეხება გამგებლის წარმომადგენელს, იგი გამგებელს წარუდგენს ინფორმაციას შესაბამის ტერიტორიაზე არსებული პრობლემებისა და აგრეთვე მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ; გამგებლის დავალებით იგი უზრუნველყოფს ადგილობრივი თვითმმართველობის სამართლებრივი აქტების მოსახლეობისათვის გაცნობას; გამგებლის დავალებით ორგანიზებას უწევს დასახლებაში მოსახლეობის გამოკითხვის ჩატარებას; დაინტერესებული პირის განცხადების საფუძველზე ადასტურებს მის სამოქმედო ტერიტორიაზე საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტს; იგი გამგებელს წარუდგენს წინადადებებს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიის ზონებად დაყოფის, მათი საზღვრების დადგენისა და შეცვლის, დასახლებების ქუჩების, მოედნების სახელდებისა და ნუმერაციის შესახებ; გამგებლის დავალებით ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

დებულებას ასევე დაემატა მუხლი 28[1], რომლის მიხედვითაც მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში საქონლის ადგილწარმოშობის, აგრეთვე პირის კონკრეტულ მისამართზე ფაქტობრივი ცხოვრების ფაქტის დადასტურების შესახებ ცნობების ფორმას ამტკიცებს მუნიციპალიტეტის გამგებელი და ცნობა გაიცემა მუნიციპალიტეტის სახელით.

დღის წესრიგის III საკითხზე „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის 25 ივლისის №38 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ ***მოხსენება გააკეთა* ძახა მარგებაძემ.** როგორც მან განმარტა, №38 დადგენილების სათაური უნდა ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა გამგეობის საშტატო ნუსხა და თანამდებობრივი სარგოები.

სხდომის **დღის წესრიგის მეოთხე საკითხზე**, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის პირველი და II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენისა და შეფასების შესახებ“ მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის საფინანსო-საბიუჯეტო და სამეურნეო განყოფილების უფროსმა* ხათუნა ყორდანაშვილმა**, როგორც მან აღნიშნა:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ექვსი თვის ბიუჯეტმა 2014 წლის 6 თვეში ცვლილება განიცადა 8-ჯერ, ბიუჯეტის მოცულობა 7044,9 ათასი ლარიდან გაიზარდა 12 683,5 ათას ლარამდე, ანუ გაიზარდა 5 638,6 ათასი ლარით.

კონკრეტულად, მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №35 განკარგულებით საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 1834, 8 ათასი ლარით და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №34 განკარგულებით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი 4199,0 ათასი ლარით,საქართველოს მთავრობის 2014 წლის 20 მარტის №471 განკარგულებით 1 014,8 ათასი ლარით. გრანტი გაიზარდა 5 213,8 ათასი ლარით. მ.შ. „სოფლის მხარდამჭერი“ პროგრამა 1014,8 ლარი. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები 4 199,0 ლარი. მომხსენებელმა ასევე დაწვრილებით ისაუბრა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ექვსი თვის შემოსავლებზე, გადასახდელების გეგმებსა და შესრულებაზე. აღნიშნული მოხსენების გაკეთების შემდეგ საკრებულოს წევრთა მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა.

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შევსებასთან დაკავშირებით ასევე, დეპუტატ ზურაბ ქურთიშვილის მიერ საკრებულოს წინაშე დაისვა საკითხი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწების ინვენტარიზაციის აუცილებლობაზე. როგორც მან აღნიშნა, მუნიციპალიტეტში არიან პირები, რომლებიც არარეგისტრირებულ მიწებს ფლობენ, ამუშავებენ ამ მიწებს, მაგრამ საგადასახადო დავალებას არ ასრულებენ. ასევე, დასარეგულირებელია ურთიერთობა მეწარმეებისა მუნიციპალიტეტის ბიუჯეტთან, გასაკონტროლებელია ბუნებრივი რესურსებით სარგებლობიდან შემოსული შემოსავლები.

ასევე, კითხვები დაისვა დეპუტატების: ჭაბუკა ჭანტურიას, გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილის მხრიდან, რომლებსაც უპასუხა როგორც მომხსენებელმა, ასევე საკრებულოს იურიდიული სამსახურის უფროსმა ეკა ტაბატაძემ და საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსმა კახა მარგებაძემ.

საკრებულომ მოისმინა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის I და II კვარტლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში და შეაფასა დადებითად.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის 4 აგვისტოს №62 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ მოხსენება გააკეთა **ფრიდონ ბურდულმა**.

საკითხის „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №61 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ შესახებ მოხსენება გააკეთა **ფრიდონ ბურდულმა**. აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ საკრებულომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც შეიქმნა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების კომისია შემდეგი შემადგენლობით: ჭაბუკა ჭანტურია, კონსტანტინე ღოღელიანი, მევლუდ დუჩიძე (ყველა საკრებულოს წევრი), გიორგი კიკნაძე – სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს კახეთის მომსახურების ცენტრის მთავარი სპეციალისტი, მაია ფანოზიშვილი – ეკონომიკის განვითარებისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი.***

სხდომაზე, ასევე განიხილეს სხვადასხვა საკითხები, რომლებიც ეხებოდა საცხოვრებელი ბინების ნუმერაციას, გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვების განხორციელებას.

საკრებულოს წევრებმა განხილულ საკითხებზე მიიღეს შესაბამისი გადაწყვეტილებები. სხდომას ესწრებოდნენ ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე* ცისმარ თედიაშვილი** და ამავე ***მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე* გიორგი რევაზიშვილი.**

2014 წლის 12 სექტემბერი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 სექტემბრის სხდომას ამავე ***მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე* ფრიდონ ბურდული** უძღვებოდა. მან საკრებულოს წევრებს და დამსწრე საზოგადოებას დღის წესრიგი გააცნო.

დღის წესრიგის I საკითხზე „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს“ ფრაქცია „რესპუბლიკელ;ების“ შემადგენლობიდან ცისმარ თედიაშვილის გასვლის შესახებ გააკეთა საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარემ ალ. მეზვრიშვილმა. საკრებულომ ცნობად მიიღო საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის, ფრაქცია „რესპუბლიკელების“ წევრის ცისმარ თედიაშვილის განცხადება.

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2014 წლის ბიუჯეტის შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 27 დეკემბრის №35 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე მოხსენება გააკეთა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახურის უფროსმა* თინათინ ძაბილაშვილმა.** როგორც მან აღნიშნა,ცვლილება შეეხება ბიუჯეტის ხარჯვის ნაწილს. მიზეზი – 2014 წლის ბიუჯეტით დასუფთავების ღონისძიებებში (სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება) გათვალისწინებული მომსახურების ღონისძიებები მიმდინარე წლის მხოლოდ 9 თვით დაიგეგმა. დანარჩენი 3 თვის მომსახურებისთვის კი საჭიროა 97050 ლარი.

„სოფლის მხარდაჭერის“ პროგრამით მიმდინარე შიდასასოფლო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო წაღისეულით (ბალასტით) სარგებლობისათვის ლიცენზიის თანხა 6810 ლარიდან გაიზარდა 8000 ლარამდე, რადგან ლიცენზიაში მითითებული ბალასტის რაოდენობა დღეისათვის ნაკლებია ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულზე;

ხეების მოჭრისათვის საჭიროა 1000 ლარი;

წყალმომარაგების სისტემაში არსებული დაზიანებების და ხარვეზების აღმოსაფხვრელად წყლის სისტემების რეაბილიტაციისა და ექსპლოატაციის ხარჯები იზრდება 78150 ლარით;

სკოლამდელი დაწესებულებებისათვის სამზარეულოს და სხვა ინვენტარის შესაძენად სკოლამდელი დაწესებულებების ხარჯებს სუბსიდიის სახით ემატება 13619 ლარი;

უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეთა დახმარების ხარჯები იზრდება 10 ათასი ლარით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მიმდინარე წლის 8 თვეში ბიუჯეტში შემოსულია 6752085 ლარი, რაც ბიუჯეტით დაგეგმილი შემოსავლების 54%-ია. სწორედ ამიტომ გახდა საჭირო ბიუჯეტის გადასახდელების შემცირება.

საკრებულოს წევრებმა მოისმინეს მოხსენება და მომხსენებლის მიმართ დასვეს შეკითხვები: ელდარ მეფარიძემ, ზურაბ ქურთიშვილმა, გოჩა (ვეფხია) ჩერქეზიშვილმა. დასმულ შეკითხვებს უპასუხა თინათინ ძაბილაშვილმა.

საკითხის „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2014 წლის პროგრამისა და მისი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 31 იანვრის №3 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (მომხს. თ. ძაბილაშვილი) მოსმენის შემდეგ საკრებულომ მიიღო დადგენილება აღნიშნულ დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ და აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტი 505752 ლარით განსაზღვრა.

საკრებულოს გადაწყვეტილებით საკითხის „ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლებისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის პერსონალური შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 4 აგვისტოს №65 განკარგულებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე“ (მომხს. მევლუდ დუჩიძე) მოსმენის შემდეგ ცვლილებების შედეგად დაემატა პუნქტი, რომლის მიხედვითაც საკრებულოს წევრი ამირან სონიშვილი აღნიშნული კომისიის წევრად იქნა შეყვანილი.

გამგეობის შესყიდვების განყოფილების სპეციალისტის ნიკოლოზ ბუზარიაშვილის მოხსენებები შეეხო მუნიციპალიტეტის მთელ რიგ ტერიტორიულ ორგანოებში არსებული სასმელი წყლის ჭაბურღილების წყლის საქაჩი ტუმბოების შეკეთებისათვის გადაუდებელი აუცილებლობით გამოწვეული გამარტივებული შესყიდვის განხორციელების საკითხებს.

საკრებულოს წევრებმა წარმოდგენილ საკითხებზე ღრმად და საფუძვლიანად იმსჯელეს. მათ სხდომის წინაშე დააყენეს მთელი რიგი იმ საკითხების შესწავლა და მწვავედ დაყენება შესაბამისი ორგანოების წინაშე, ვინც ვერ შეძლო 2014 წლის ბიუჯეტის თავიდანვე ნორმის ფარგლებში დაგეგმვა, ხელი შეუწყო ბიუჯეტის თანხების არამიზნობრივ ხარჯვას, სოფლებში „სოფლის მხარდაჭერის“ პროექტების უხარისხო შესრულების საქმეს.

საკრებულომ ყველა განხილულ საკითხზე მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

საკრებულოს სხდომას ესწრებოდა ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგებელი* გიორგი გზირიშვილი.**

„რთველი-2014“ დაიწყო

მისი თითოეული ნიუანსი გათვალისწინებულია

დღეისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსავლინი ვენახების საერთო ფართობი 4140 ჰექტარს შეადგენს. ყველაზე დიდი ფართობი „რქაწითელის“ ჯიშის ვაზს უკავია – 2630 ჰა,„საფერავს“ – 992 ჰა, „კახურ მწვანეს“ – 336 ჰა, სხვა ჯიშის ვაზს – 150 ჰა. ამ ფართობებიდან მიმდინარე რთველში 15677 ტონა ყურძენს ველოდებით.

„რთველი-2014“-ის შესახებ 2 სექტემბერს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თათბირზე ვრცელი ინფორმაცია გააკეთა ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარემ* ლევან დავითაშვილმა**,ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგეობის სამსახურის უფროსებმა და მუნიციპალიტეტის გამგებლის წარმომადგენლებმა მოისმინეს ვრცელი ინფორმაცია „რთველი-2014“-ის წინა მოსამზადებელი პერიოდისა და შემდეგში მისი მიმდინარეობის შესახებ.

„რთველი-2014“ განსხვავებული იქნება სხვა წლების სართვლო კამპანიისაგან. ამ შემთხვევაში იგი უფრო დახვეწილია, გათვალისწინებულია მისი თითოეული ხარვეზი და ნიუანსი.

სახელმწიფოს დახმარება წელს ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის კი იმით გამოიხატება, რომ 1 ლარად ან ლარზე მეტ ფასად ყურძნის შესყიდვისას, სახელმწიფო ღვინის მწარმოებელ კომპანიებს პირდაპირი დახმარების წესით, შესაბამისი სუბსიდიის თანხით უზრუნველყოფს.

სახელმწიფო სუბსიდია ***კონდიციურ, ხარისხიან 1 კგ „რქაწითელს“ და „კახურ მწვანეზე“ 35 თეთრს შეადგენს, ხოლო 1 კგ „საფერავზე“ 15 თეთრი იქნება. ყველა ღვინის მწარმოებელი კომპანიებისათვის*** ასევე გაიცემა შედავათიანი აგროსესხები.

სახელმწიფო საბანკო სექტორთან ერთად მეღვინეობა-მევენახეობის სექტორს სთავაზობს შედავათიან სესხს ყურძნის შესასყიდად – 15 თვიანი ვადით არაუმეტეს 6%-სა ლარში.

ყურძნის მიღება მოხდება ორგანიზებულად, მევენახის ინტერესის სრული დაცვით. რთვლის დაწყებამდე სავალდებულოა ***მევენახემ (გლეხმა) მუნიციპალიტეტის გამგეობის წარმომადგენლისგან მიიღოს შესაბამისი ცნობა, სადაც აღნიშნული იქნება: მევენახის (გლეხის) სახელი, გვარი, თარიღი, ცნობის ნომერი, აღნიშნული ცნობით ჩასაბარებელი ყურძნის რაოდენობა და ჯიში, მიმღები კომპანია (თუ სად აპირებს ჩაბარებას). ცნობა მოწმდება გამგეობის წარმომადგენლის ხელმოწერით.***

„რთველი-2014“-ის ორგანიზებულად ჩატარებისათვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ გამგებლის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე ბ-ნმა ლევან დავითაშვილმა უპასუხა გამგებლის წარმომადგენელთა მიერ დასმულ შეკითხვებს, რომლებიც „რთველი-2014“-ის საორგანიზაციო საკითხების გაცნობის შემდეგ წარმოიშვა.

განსხვავებით წინა წლებისგან მუნიციპალიტეტში რთველმა წელს სტარტი ნაადრევად აიღო. მოსახლეობა ძირითადად „საფერავის“ და „კახური მწვანის“ ჯიშის ყურძენს აბარებს ღვინის ქარხნებს. „საფერავის„ მიღება წარმოებს სამ ქარხანაში – შპს „ბატონოში“, შპს „კახეთი-3000“-ში და ფირმა „ბადაგონში“. სადაც ყოველ კილოგრამ ამ ჯიშის ყურძენში ფასმა 1.70 ლარიდან 2.30 ლარამდე მიაღწია. მუნიციპალიტეტში მასიურად რთველი ჯერ არ დაწყებულა და ალბათ 15-20 სექტემბრიდან დაიწყება.

წარმატებულ რთველს ვუსურვებთ ჩვენს მევენახეებსა და ღვინის გადამამუშავებელ კომპანიებს.

ნიკო ჯავახიშვილი,

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის უფროსი, აგროინჟინერიის დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი.

გვალვებთან მიწათმოქმედთა ჭიდილში

ბარეკახელებს სიცხითა და გვალვებით ვერავინ გააკვირვებს, მაგრამ გვალვა თითქმის წლის დასაწყისიდან რომ დაწყებულიყო და შემოდგომამდე გაგრძელებულიყოს, ასეთი რამ არავის ახსოვს. ვერც გვალვისაგან ჩვენს გარემომცველ ბუნებაზე ზემოქმედების ასეთ შემთხვევებს გაიხსენებს ვინმე. დამშრალი წყაროები, ტყე-გორაკებსა და ველ-მინდვრებში გადაყვითლებულ-გადამხმარი მცენარეული საფარი, მიწათმოქმედებისათვის განადგურებული ნათეს-ნარგაობა დღეს ყოველ ნაბიჯზე შეგახსენებთ თავს. კიდევ კარგი ამ პაპანაქებაში ღვთის წყალობით ივრის სარწყავი წყალი არ მოჰკლებია კომუნისტების ხელში აშენებულ და მერე მავანთა ხელით გავერანებულ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემების სამმართველოს სათავე-ნაგებობებსა და მაგისტრალურ არხებს, თორემ გვალვის მავნე ზემოქმედება მართლაც დიდ საშიშროებად გაგვიხდებოდა. ვისაც ხელი მიუწვდებოდა ივრის მაცოცხლებელი წყლის გამოყენებით, შეძლო გვალვისაგან თავისი ნაშრომისა და წლის მოსავლის გადარჩენა და კარგ შედეგებსაც მოელიან.

წლევანდელი გვალვა-პაპანაქების დამღუპველი ზემოქმედების თავის თავზე გამოცდა პირველებს მაინც იმ მიწათმოქმედებს მოუხდათ, ვისაც ურწყავ ფართობებში საშემოდგომო თავთავიანები ეთესათ და ზოგიერთმა მათგანმა არამცთუ მინიმალური, არამედ მოსავალი საერთოდაც ვერ მიიღო. მსგავს სიტუაციაში არიან ჩვენი ის მიწათმოქმედები, ვისაც იმავე ფართობებში სიმინდი და მზესუმზირა უთესიათ. თუ რამდენად დაზიანდა ეს ნათესები გვალვისაგან და რა შედეგებს უნდა ელოდნენ მათი პატრონები. ამის შესახებ გვესაუბრება ***საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის მთავარი სპეციალისტი* აპაკი დეკანოზიშვილი**.

– ბ-ნო აკაკი, როგორც ცნობილია, ჩვენს მუნიციპალიტეტში მზესუმზირის ნათესები, მცირე გამონაკლისის გარდა, ურწყავ ფართობებში ითესება. სარწყავ ფართობებში არსებული ნათესების მდგომარეობიდან გამომდინარე, ვფიქრობთ, რომ წლევანდელი გვალვისგან ეს ნათესები საგრძნობლადაა დაზიანებული, თქვენ როგორ შეაფასებდით ამ მდგომარეობას, უნდა ჰქონდეთ თუ არა რაიმეს იმედი მათგან ამ ნათესების პატრონებს?

– წელს მთლიანობაში საგარეჯოს მუნიციპალიტეტში მზესუმზირის ნათესი ფართობები 1483 ჰექტარია. აქედან ურწყავ ფართობებში აქვთ ეს ნათესები ხაშმის, პატარძეულის, ნინოწმინდის, საგარეჯოს, ყანდაურის, ბადიაურის და სხვა სოფლების მოსახლეობას. წინასწარი პროგნოზით ეს ნათესები 75-დან 85%-მდეა დაზიანებულ-განადგურებული და მათგან მათ მეპატრონეებს ნაკლები იმედი უნდა ჰქონდეთ.

– სიმინდის ნათესებისა და მათი მოსავლიანობის შესახებ რა პროგნოზს გააკეთებდით?

– წელს მუნიციპალიტეტში ეს კულტურა დათესილია 5498 ჰექტარზე. აქედან 20% ურწყავშია, დანარჩენი 80 % სარწყავში. აქედან მთლიანად გახმა და განადგურდა ურწყავ ფართობებში არსებული ნათესები. რაც შეეხება სარწყავში არსებულ სიმინდის ფართობებს, სადაც კი ეს კულტურა მოირწყა, ყველგან კარგ მოსავალს მოელიან.

– გვალვის შედეგებიდან გამომდინარე, წელს პირუტყვის საკვები ბაზის შექმნაშიც პრობლემებია, არა?

– რა თქმა უნდა. მთლიანადაა გვალვისგან „გადამწვარი“ მუნიციპალიტეტში არსებული 56974 ჰექტარი საძოვრები და 1417 ჰექტარი ბუნებრივი სათიბები. მხოლოდ ერთხელ, სანახევროდ გაითიბა 167 ჰა ნათესი ბალახები, მაშინ, როცა კარგ პირობებში მათ 2-3-ჯერ მაინც თიბავენ. საშემოდგომო თავთავიანი კულტურების განუვითარებლობის გამო, შარშანდელთან შედარებით 60-70%-თაა შემცირებული ნამჯის წარმოება, ასეთია ამ საქმეში სადღეისოდ შექმნილი ვითარება.

– ბოსტნეულ-ბაღჩეული კულტურების მოსავლიანობის შესახებ რას გვეტყვით?

– ამ კულტურების ნათესების 80%-ზე მეტი სარწყავ ფართობებშია, ამიტომ კარგი მოვლის პირობებში შედეგებიც კარგია, თუმცა სხვა წლებთან შედარებით წელს მათი მოვლა-პატრონობა გაძნელებულია და ზოგიერთი მიწათმომქმედი უჩივის მოსავლიანობის მაჩვენებელს.

ესაუბრა გივი დაბახიშვილი

რის ფასად ვძლევთ გვალვას

ვენახის სამუშაოებიდან ყველაზე მეტად რწყვა არ მიყვარს, უფრო მეტიც, მისი გახსენებაც კი მძიმე ხასიათზე მაყენებს.

მიზეზი თავისთავად ის მძიმე და რთული სამუშაო კი არაა, რწყვას თან რომ სდევს, არამედ ნერვიულობა და აუცილებლად გადასატანი ჩხუბი, წყლის ნაკვეთამდე მიყვანას და მისთვის ბრძოლას რომ სდევს თან. ამიტომ თუ აუცილებელი არ იყო, მისგან თავის არიდებას ვცდილობდი.

იმედი მქონდა ამ წელსაც „გადავრჩებოდი,“ მაგრამ აგვისტოს დასაწყისში ვენახში შესულმა კინაღამ ტირილი დავიწყე ვაზის საცოდაობით, ისე უჭირდა არნახულ გვალვაში დალოცვილ მცენარეს.

ჰოდა, გავწირე თავი და რწყვის სამზადისს შევუდექი. ჯერ წესისამებრ ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის სამმართველოსთან ხელშეკრულება გავაფორმე და დავიწყე დილა-საღამოს სარწყავ წყალზე „მონადირეებში“ „ბრძოლა“.

ამან ათიოდე დღე წაიღო და როგორც იქნა ერთი საკადებელი წყალი გამიყო ნაკვეთის მეზობელმა.

ის ღამე გავათენე, მაგრამ ერთი მწკრივი ძლივს მოვრწყე – ცოტა წყალს ძალა ვერ მიჰქონდა ვაკე ადგილზე მდებარე ვენახში.

დილით ჩემმა მეწილემ რწყვა დაამთავრა და მთლიანი საკადებელი წყალი ჩემსკენ გადმოვუშვი. ცოტა ამოვისუნთქე, წყალსაც ძალა მიეცა და იმედი მომეცა მეორე დღეს საღამოსთვის ან შემდეგი დილისთვის გავთავისუფლდებოდი ამ სატანჯველისაგან.

შუადღისთვის წყალმა ისევ მოიკლო, წავედი „ლატოკისკენ“ და როგორც მოსალოდნელი იყო, კიდევ ერთ „მონადირეს“ ჩემი საკადებელი წყალი გაეყო და თავის ვენახში გადაეგდო. დავას და ახსნა-განმარტებას თხოვნა ცვლიდა, ცოტა მაინც დამიტოვეო, ჯარისკაცის ფორმიანი ახალგაზრდა იხვეწებოდა, თან მოხუცი ქალი ახლდა და ... დავუთმე.

მეორე ღამის გასათევად ვემზადებოდი, აღარც ჭაბა მახსოვდა და არც დასვენება, მხოლოდ იმას ვდარდობდი, წყალი არავის დაეწყვიტა.

მაგრამ რა გინდა, დაღამებისთანავე წყალი დამიწყდა. წავედი ლატოკთან, იქ არავინ დამხვდა, გამოვუშვი ისევ და ცოტა ხანს დაველოდე, იქნებ ვინმე გამოჩნდეს, მეთქი (ლატოკიდან ნაკვეთამდე წყლის მისვლას თითქმის ერთი საათი სჭირდებოდა) და ისევ ვენახში წავედი. დაახლოებით ერთ საათში წყალი ისევ დაწყდა, ისევ წავედი საშვებთან... ასე გაგრძელდა დილამდე, ისე, რომ ორი ღამის გათენების შემდეგ ვენახის მხოლოდ მესამედი მქონდა მორწყული.

დილით წყალი ისევ შეწყდა, ამჯერად მთლიანად და ლატოკთან მისულმა გავიგე, რომ თურმე ერთ-ერთი ლატოკი ჩამტვრეულიყო და ჩემს ნაკვეთამდე წყალს ვეღარ მივიყვანდი.

ალბათ დროა, მათ ვინც იცის გავახსენო, ვინც არა, ავუხსნა, თუ რას წარმოადგენს საბჭოთა პერიოდში გაყვანილი ეს შიდა სარწყავი არხი. იგი სათავეს მარცხენა მაგისტრალური არხიდან იღებს და რამდენიმე კილომეტრის მანძილზე რწყავს სავარგულებს. არხის გვერდით არსებული ნაკვეთების მეპატრონეებს გამონგრეული აქვთ ბეტონის „ლატოკები“ და იქიდან იოლად რწყავენ ნაკვეთებს. ასე, რომ, ეს ლატოკები ისეა დახვრეტილ-გამონგრეული, ბოლომდე წყლის მიყვანა სასწაულის ტოლფასი ხდება. არხის ზედა ნაწილში მყოფებს საქმე უიოლდებათ, ბოლოში მყოფებისთვის კი ნამდვილი ჯოჯოხეთია.

რაღას ვიზამდი, წამოვედი სახლში, სიმართლე გითხრათ, ცოტა შვებითაც ამოვისუნთქე, ცოტას დავისვენებ – მეთქი.

გაჭირვება მაჩვენეო და ადამიანის გამომგონებლობის უნარი თურმე ამოუწურავია – პლასტმასის დიდდიამეტიანი მილებით გადაეყვანათ წყალი ჩანგრეულ ლატოკზე და კიდევ ორი დღე-ღამის გასწორების შემდეგ როგორც იქნა ვენახის მორწყვა შევძელი, ისევ ისეთი ბრძოლის და ჩხუბის თანხლებით.

არა და შეიძლებოდა სულ უპრობლემოდ ამ საკითხის მოგვარება. დღევანდელი ტექნოლოგიები დიდი შრომის გარეშე და მცირე რაოდენობის წყლით იძლევა საშუალებას მოირწყას დიდი ფართობები. ლაპარაკია წვეთოვან მორწყვაზე, რომელიც ეფექტურიცაა და ნაკლებად შრომატევადიც. ის წყალი, რაც მარტო ერთ, თუნდაც იმ ჩვენს ნახსენებ ლატოკში გამოდის, მთელი რაიონის ფართობების მორწყვა შეიძლება. ერთადერთი მიზეზი მისი გამოუყენებლობისა, ღირებულებაა (ერთი ჰექტარისათვის განკუთვნილი სისტემა 2 ათას დოლარზე მეტი ღირს). ალბათ ხელისუფლებამ აქტიურად უნდა შეუწყოს ხელი შედავათიანი კრედიტების გამოყოფას და მის დანერგვას.

ბუნებრივია შესაკეთებელია შიდა სარწყავი ქსელები, რაც ასევე პირველი რიგის ამოცანაა.

დღეს კი გვალვასთან ბრძოლის ძველებური მეთოდებით, არნახული ენერგიის და ნერვიულობის ფასად ვახერხებთ.

ზურაბ აგულაშვილი

განათლება

სკოლა წარმატებებს ითვლის

– 2010 წელს ჩვენი, საგარეჯოს IV საჯარო სკოლის კურსდამთავრებულთა 42% ჩაირიცხა საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. წელს კი უკვე 60 %, – მეუბნება ***სკოლის დირექტორი*** **ნელი ბალახაშვილი,** – მიმდინარე წელს სკოლამ 53 კურსდამთავრებული გამოუშვა. აქედან, უმაღლეს სასწავლებელში სწავლის გაგრძელება 32 კურსდამთავრებულმა გამოთქვა. ჩაირიცხა 31. რაოდენ სასიხარულო და საამაყოა, რომ ამ 31 აბიტურიენტიდან სახელმწიფო დაფინანსება 100%-იანი გრანტი მოიპოვეს დიმიტრი კუჭუაშვილმა, ნინო ბასილაშვილმა და ნინო დიღმელაშვილმა. რაც შეეხება დავით ანელაშვილს, მან მართალია 50%-იანი სახელმწიფო დაფინანსება მოიპოვა, მაგრამ სასწავლებელმა, რომელშიც ის ჩაირიცხა მიღებული ქულების გამო 100%-იანი დაფინანსებით დააჯილდოვა. ასევე 70%-იანი სახელმწიფო დაფინანსება აქვს ქრისტინე გორგილაძეს, 50%-იანი დაფინანსებები აქვთ ანრი ხოშტარიას, ნაზი სამუნაშვილს, ვალიკო ყორღანაშვილს, ანი მეზრიშვილს. ყველაზე სასიხარულოა ჩვენთვის ჩვენი კურსდამთავრებულის ოთარ დარბაისელის საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკის ფაკულტეტზე ჩარიცხვა. ეს მხოლოდ ჩემი სიხარული არ არის. ეს იმ პედაგოგების ღვაწლის დაფასებაა, რომლებიც წლების განმავლობაში მასთან სახლში დადიოდნენ გაკვეთილების ჩასატარებლად. დიახ, ეს იმ სიყვარულის დიდი გამოძახილია, რომელიც მის მიმართ მის კლასის დამრიგებელს ლია ქევხიშვილს ჰქონდა, რომელმაც მთელი კლასი ერთ დიდ, მზრუნველ და მოსიყვარულე ახალგაზრდებად ჩამოაყალიბა.

წელს სკოლა ექვსმა მედალოსანმა დაამთავრა – 2 ოქროთი, ოთხმა ვერცხლით. 2012 წლის სკოლის კურსდამთავრებული 53 ახალგაზრდიდან მედალოსანი 6 იყო – 3 ოქროს და 3 ვერცხლის მედლის მფლობელი. ეროვნულ გამოცდებზე დარეგისტრირდა 29 აბიტურიენტი, მათგან ჩაირიცხა 22. 100%-იანი გრანტის მფლობელი გახდა ერთი, 50%-იანის 3, 30%-იანის 2.

2011 წელს სკოლის 56 კურსდამთავრებულიდან მედალოსანი გვყავდა – 6, ეროვნულ გამოცდებზე 26 აბიტურიენტი დარეგისტრირდა, ჩაირიცხა – 22. სახელმწიფო დაფინანსება აქაც ხუთმა აბიტურიენტმა მიიღო.

წარმატებები, რომლებსაც ჩვენი სკოლის მოსწავლეები და კურსდამთავრებულები აღწევენ იმ 50 პედაგოგის, მშობლების დამსახურებაა, რომლებიც ძალ-ღონეს არ იშურებენ მათი ნორმალური აღზრდა-განვითარებისათვის. საამაყოა ის, რომ ჩვენი სკოლის პედაგოგები და მათი მოსწავლეები მონაწილეობენ რესპუბლიკური და მუნიციპალიტეტის მასშტაბით გამართულ კონფერენციებში, კონკურსებში და საკმაოდ დიდ წარმატებებსაც აღწევენ. ასე, მაგალითად, სასწავლო ოლიმპიადაში საუკეთესო შედეგებით მესამე ტურის წარმატებით გადალახვით ჩვენი სკოლის ორი მოსწავლე დიმიტრი კუჭუაშვილი და ანი ლალიაშვილი რესპუბლიკის წარმატებულ მოსწავლეთა იმ ათეულში მოხვდნენ, რომლებმაც შემდეგ ბაქსვუდის ინგლისურენოვანი საზაფხულო სკოლის საგზური მოიპოვეს. მათგან ანი ლალიაშვილი 14 სექტემბრიდან 28 სექტემბრის ჩათვლით გაიგზავნა ინგლისის ქალაქ ჰასტინგში, რომელიც იქ გასაგზავნი 150 მოსწავლიდან შერჩეულ 8 მოსწავლეს შორის მოხვდა. გასულ წელს ჩვენი სკოლიდან ბაქსვუდის ინგლისურენოვან ბანაკში ჩვენი მოსწავლე, ანის უფროსი და – სალომეც იყო, რომელიც ახლა სტუდენტია.

ახლა მე არ ვისაუბრებ პედაგოგთა მიერ მიღწეულ თითოეულ წარმატებაზე, რომელთა შრომის შედეგი მათი წარმატებული მოსწავლეებია. უბრალოდ გეტყვით, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საგარეჯოს რესურს-ცენტრის მიერ ჩატარებულ დაწყებითი კლასების მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციაზე მოსმენილ პედაგოგთა პრეზენტაციაზე ჩვენი სკოლიდან წარდგნენ დაწყებითი განათლების საფეხურის პედაგოგები და I და II ადგილი რაიონის პედაგოგებს შორის ჩვენი სკოლის დაწყებითი განათლების კლასების პედაგოგებს ირმა შველიძეს და მარიანა შიოშვილს ერგოთ – როგორც საუკეთესო ინოვაციის ავტორებს.

ჩვენი სკოლის მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ ქვეყნის მასშტაბით მოწყობილ სხვადასხვა საინტერესო ღონისძიებებში. წინა თვეში, 2014 წლის 7 ივლისს ჩვენ მივიღეთ მადლობა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელობისგან თამბაქოსაგან 100%-იანი თავისუფალი პოლიტიკის გატარებაში გაწეული მხარდაჭერისათვის. ასევე, მადლობა მივიღეთ საგარეჯოს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დირექციისგან ჩვენი სკოლის მოსწავლეების აქტიური მონაწილეობისათვის აღნიშნულ სახლში გამართულ ღონისძიებებსა და პროექტებში.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენი სკოლის კარებს 57 პირველკლასელი შემოხსნის. მათ აქ სამი საკლასო ოთახი და სამი მასწავლებელი ელოდებათ. 39 მოსწავლე ისწავლის XII კლასში. სულ კი დაახლოებით 488 მოსწავლე გვეყოლება.

და კიდევ ერთი სიახლეც. ***ჩვენი სკოლა საქართველოს რესპუბლიკის იმ საპილოტე 100 საჯარო სკოლას შორისაა, სადაც 15 სექტემბრიდან საექიმო მომსახურება ექნებათ მოსწავლეებს.*** ჩვენ გვაქვს ოთახი საამისოდ გამოყოფილი, სადაც ექიმს შეეძლება ყოველდღიურად თვალყური ადევნოს ჩვენი სკოლის მოსწავლეების ჯანმრთელობის მდგომარეობას (ჩაწერილია 2 სექტემბერს).

ჩაიწერა თინა ილაურმა

ლამბალოს საჯარო სკოლის ხარაჩოებზე

უკვე გამოჩნდა ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფელ ლამბალოს მომავალი საჯარო სკოლის კონტურები, კონტურებში რომელზედაც სკოლის სამსართულიანი კორპუსი დაშენდება. თუ ქვეყნის წინა ხელისუფლების წინასაარჩევნო დაპირებებს რაიმე დაეჯერებოდა, წესით ახლა ამ ადგილზე უკვე კარგა ხანია ამ სკოლის დასრულებული შენობა უნდა იდგეს, თუმცა სკოლის ძველი სამსართულიანი ნაგებობის დანგრევის შემდეგ, აგერ უკვე მეშვიდე წელია, აქაურ მოსწავლეებსა და მათ მასწავლებლებს მეცადინეობების ჩატარება ურთულეს პირობებში, დაქირავებული საქონლის სადგომებსა და გაუქმებულ პურის საცხობებში უწევთ, რის შესახებაც ამბავმა ერთი პერიოდი ლამის მთელი მსოფლიოს მედიასაშუალებები შემოიარა. გასული სასწავლო წლისათვის ახალი სკოლის აშენებას ლამბალოელ მოსწავლე-ახალგაზრდობას, მათ მშობლებსა და აღმზრდელებს წინასაპრეზიდენტო არჩევნების კამპანიის დროს ჩვენი ქვეყნის მაშინდელი განათლების მინისტრი და დღევანდელი პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილიც დაპირდათ, თუმცა, სხვადასხვა მიზეზებით ამ მშენებლობის დაწყება მხოლოდ მიმდინარე წლის დასაწყისისათვის მოხერხდა.

როგორც თავის დროზე ჩვენს მკითხველებს ვაცნობეთ, ეს იქნება 1000 ბავშვზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების დონეზე მოწყობილი სამსართულიანი შენობა, რომლის საპროექტო ხარჯთაღრიცხვა 4 344 000 ლარს შეადგენს. მშენებლობას აწარმოებს ტენდერში გამარჯვებული თურქული სამშენებლო კომპანია „AGCS Georjia“.

სკოლის სამშენებლო მოედნის თუნუქის ღობეზე მოთავსებული ბანერის მიხედვით მშენებლობა 23.01.2014 წელს დაწყებულა და 2015 წლის 16 ივლისისათვის უნდა დასრულდეს. აქტიური სამშენებლო სამუშაოები კი, როგორც ამ დღეებში სამშენებლო მოედნის მონახულებისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინფრასტრუქტურის სააგენტოს ზედამხედველმა ვაჟა ბაზერაშვილმა გვითხრა, თებერვლის დასაწყისიდან დაწყებული. საღღეისოდ უკვე მიმდინარეობს საძირკვლისა და სარდაფის კედლების ლითონის კარკასის მონტაჟი და ქარგილის (აპალოგკის) მომზადება. მთლიანი შენობა მონოლითური იქნება. ქარგილის მომზადების შემდეგ ჩაისხმება ბეტონის ხსნარი, მისი გაშრობის შემდეგ კი დაიწყება სართულების დაშენების სამუშაოები. ***როგორც ვაჟა ბაზერაშვილთან საუბარში გაირკვა,*** სკოლას ექნება 43 საკლასო ოთახი და 3 სპეცკაბინეტი, საკონფერენციო დარბაზი, სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, კვების ბლოკი, იფუნქციონირებს ორი: დახურული სპორტული დარბაზი და მინი-სტადიონი. მთლიანი შენობა უზრუნველყოფილი იქნება ცენტრალური გათბობით, კიბის ორი უჯრედის გარდა, სართულებს შორის იმოძრავებს ლიფტი, ყოველ სართულზე მოეწყობა სველი წერტილები. მოძრაობის უნარშეზღუდული მოსწავლეებისათვის მოეწყობა სპეციალური პანდუსები. სკოლის გარშემო მოეწყობა გამწვანება. ერთი სიტყვით, ეს იქნება თანამედროვე მოთხოვნების დონეზე მოწყობილი სასკოლო შენობა, რომლის ანალოგი საქართველოში ბევრი არაა.

როგორი იქნება სკოლის შენობის სეისმომდგრადობა და საექსპლოატაციო ხანგრძლივობა? – ვეკითხები საუბარში შემოსწრებულ ***მშენებლობის წარმოების უფროსს*** **ნიკოლოზ ლომსაძესა** ***და სამუშაოთა მწარმოებელს*** **მუხრან თაბაგარს.**

– ახალ სასკოლო შენობას შეუძლია გაუძლოს 8 და ცოტა უფრო მეტი სიმძლავრის მიწისძვრებს, ამაზე მეტი სიხშირის – 9-10 ბალის მიწისძვრები კი დამანგრეველად ითვლება. რაც შეეხება შენობის საექსპლოატაციო ვადას, მშენებელი კომპანია იძლევა 50 წლის გარანტიას და მის ზემოთ რამდენ ხანს იფუნქციონირებს, ეს ეს სხვა ფაქტორებზე იქნება დამოკიდებული.

– ბატონო ნიკოლოზ, სკოლის კვების ბლოკმა და სველმა წერტილებმა ნორმალურად რომ იფუნქციონიროს, ამისათვის სკოლის წყალმომარაგების საკითხის მოგვარებაა საჭირო. სასმელი წყალი კი მუდამ პრობლემატურია აქაურებისათვის. როგორ გადაწყდება ეს საკითხი ახალ სკოლაში, მისთვის საკუთარი ჭაბურღილი თუ მოეწყობა, საიდან მოხდება წყალუზრუნველყოფა?

– სკოლისათვის სასმელი წყლის ჭაბურღილის მოწყობის სამუშაოები და ხარჯები ამ პროექტით გათვალისწინებული არაა, – საუბარში გვერთვება ვაჟა ბაზერაშვილი, – ჩემი ინფორმაციით, სასმელი წყლის ქსელი სკოლაში შემოყვანილი იქნება სოფლის ცენტრალური ქსელიდან, რომელიც წინა წლებში მოაწყო ნავთობკომპანია „სოკარმა“ ბადიაურის წყალსაქაჩიდან მოწოდებული წყლის ბაზაზე. მისი მოწყობის სამუშაოების ხარჯებს კი, ან განათლების სამინისტრო, ან მუნიციპალიტეტის გამგეობა დააფინანსებს, რომლის ბალანსზეც ეს წყალსადენია ახლა.

– ბატონო ნიკოლოზ, რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, სკოლის მშენებლობა და ექსპლოატაციაში გაშვება 18 თვეში უნდა დასრულდეს. აქედან უკვე გასულია მესამედზე ცოტა მეტი დრო, როგორ ფიქრობთ, მოესწრება შეპირებული დროისათვის მისი დასრულება, რომ მომავალ, – 2015 წელს აქაურმა მოსწავლე-ახალგაზრდობამ ახალი სასწავლო წლის დაწყება ახალ სასკოლო შენობაში იზეიმონ?

– კი, ჩვენ ყოველნაირად ვეცდებით, რომ დაოქმული დროისათვის გავიდეთ და მომავალი წლის აგვისტოს ნახევრისათვის სკოლა უკვე მზად იყოს სასწავლო წლის დაწყებისათვის.

– როგორ დგას სამშენებლო მასალებით მომარაგების საკითხი? რაიმე პრობლემებს ხომ არ აწყდებით მუშაობაში?

– ამ ეტაპზე სამშენებლო მასალების ნაკლებობას არ განვიცდით. ჩვენთან ხშირად მოდიან როგორც კომპანიის, ისე განათლების სამინისტროს წარმომადგენლები, ინტერესდებიან სამუშაოთა მიმდინარეობით, გვიტარებენ მონიტორინგს.

– მშენებლობაზე დასაქმებული მუშახელის შესახებ რას გვეტყოდით? კომპანიას საკუთარი მშენებლები ჰყავს თუ ადგილობრივ მოსახლეობასაც ამუშავებთ?

– გვყავს როგორც საკუთარი, მომზადებული ქართველი მშენებლები, ისე ადგილობრივი აზერბაიჯანელი მუშახელი. თუმცა უნდა ითქვას, რომ ჩვენთან მოსული ზოგიერთი აქაურის მომზადების დონე შედარებით დაბალია და ზოგ შემთხვევაში უარს ვაცხადებთ ხოლმე მათ სამუშაოდ აყვანაზე.

– გავიგეთ აზერბაიჯანიდანაც გყავთ ხოლმე ოფიციალური მნახველები, რომლებიც ინტერესდებიან ლამბალოს სკოლის მშენებლობის საკითხებით?

– კი, ჩვენთან ხშირად მოდიან აზერბაიჯანიდან, მათ შორის სამთავრობო დონის დელეგაციები. ერთ-ერთი ასეთი დელეგაცია, ჟურნალისტების ჯგუფი ამასწინათ გვეწვია მშენებლობაზე, რომელთაც თან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენლები ახლდნენ. მათ დაათვალიერეს მშენებლობა, რაღაც-რაღაცეები გვკითხეს: ამ სკოლას კი აშენებთ, მაგრამ რამდენად იციან აზერბაიჯანული ენა ქართველმა მასწავლებლებმა, ვინც აქაურ ბავშვებს ქართული ენა უნდა ასწავლონო? საბედნიეროდ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა გასაგებად აუხსნა, რომ ენობრივი ბარიერის გადალახავად სამინისტრო ახორციელებს სათანადო პროექტს. რამდენიმე წელიწადში ეს პრობლემა აღარ იარსებებს.

ბ. დაბახიშვილი

ის, რაც შეიძლება ვრობლემა არ იყოს

პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

სექტემბრიდან პაციენტებზე მთელი რიგი მედიკამენტები რეცეპტით გაიცემა. ამან ბევრი საბრონებელში ჩააგდო, თუმცა სრულიად უსაფუძვლოდ. გთავაზობთ განმარტებებს:

– ვის უნდა მიაკითხოთ საჭირო მედიკამენტის რეცეპტზე (ფორმა 3) გამოწერის მიზნით?

– რეცეპტზე მედიკამენტის გამოწერის მიზნით უნდა მიმართოთ ოჯახის/ სოფლის/ უბნის ექიმს ან საჭირო სპეციალობის ექიმ-სპეციალისტს.

– დაკავშირებულია თუ არა რეცეპტის გამოწერა დამატებით ფინანსურ ხარჯებთან?

– რეცეპტის გამოწერა არ იწვევს დამატებით ფინანსურ ხარჯებს პაციენტის მხრიდან, ვინაიდან: ექიმთან ვიზიტის ძირითადი მიზანი პაციენტის დიაგნოსტიკა და მკურნალობაა და რეცეპტი მხოლოდ ჩვეულებრივი სამედიცინო დოკუმენტია, რომელიც ივსება საჭიროების შემთხვევაში. ოჯახის ექიმთან და ექიმ-სპეციალისტთან ვიზიტების რაოდენობა შეზღუდული არ არის და ფინანსდება სახელმწიფოს მიერ საყოველთაო ჯანდაცვისა და სხვა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში. ამასთან, სრულად ფინანსდება: ოჯახის/უბნის და სოფლის ექიმთან ვიზიტი - ყველა ბენეფიციარისათვის; ყველა ექიმ-სპეციალისტთან ვიზიტი – სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის, პედაგოგებისათვის, ბავშვთა სააღმზრდელო დაწესებულებების აღსაზრდელებისა და აღმზრდელებისათვის, რეინტეგრაციაში ან მინდობით აღზრდაში მყოფთათვის, ხანდაზმულთა და შშმ პირთა პანსიონატებში მცხოვრებთათვის, იძულებით გადაადგილებულ პირთა გარკვეული ნაწილისათვის, სახალხო არტისტების, სახალხო მხატვრების და რუსთაველის პრემიის ლაურეატებისათვის, პენსიონერებისათვის, 0-5 წლის ბავშვებისათვის, სტუდენტებისათვის, შშმპ ბავშვებისა და მკვეთრად გამოხატული შშმ პირებისათვის; ენდოკრინოლოგთან, ოფთალმოლოგთან, კარდიოლოგთან, ნევროლოგთან, ოტორინოლარინგოლოგთან, გინეკოლოგთან, უროლოგთან ვიზიტი - ვეტერანებისათვის.

– რომელი მედიკამენტები გაიცემა ურეცეპტოდ?

– ურეცეპტოდ გაიცემა III ჯგუფის მედიკამენტები, რომელთა რაოდენობა 3 600-ზე მეტია. მათი მიღება შესაძლებელია ექიმის დანიშნულების გარეშე. ურეცეპტოდ გასაცემი წამლების ნუსხაში გაერთიანებულია ისეთი პრეპარატები, რომლებიც ნაკლებად მძიმე გვერდითი (არასასურველი) მოქმედებით ხასიათდებიან და ნაკლები ზიანის მოტანა შეუძლიათ პაციენტისთვის. მათი სარგებელი აშკარად სჭარბობს სავარაუდო არასასურველი ეფექტის პოტენციურ რისკს. ურეცეპტოდ გასაცემ მედიკამენტებს მიეკუთვნებიან: = კუჭ-ნაწლავის სისტემის დაავადებების სამკურნალო საშუალებები (მაგ.: ომეპრაზოლი, ალმაგელი, დე-ნოლი, ალოხოლი, სენადექსინი, ენტეროლი, მეზიმ- ფორტე და სხვა); = ვიტამინები და მინერალები (გარდა საინექციო ხსნარებისა);

= ანტიაგრეგანტები სისხლის შედედების საწინააღმდეგო) პრეპარატები (მაგ.: ასპირინი კარდიო, კარდიომაგნილი და სხვა);

= პერიფერიული სისხლის მიმოქცევის გასაუმჯობესებელი საშუალებები (მაგ.: ტრენტალი, დილასიდომი და სხვა);

= ანგიოპროტექტორები (მაგ.: ვენო დიოლი, ფლებოდია, დეტრალექსი და სხვა);

= მთელი რიგი ტკივილგამაყუჩებელი, სიცხის დამწევი და ანთების საწინააღმდეგო არასტეროიდული საშუალებები (მაგ.: ანალგინი, ტემპალგინი, კეტონალი, იბუპროფენი, ნუროფენი და სხვა);

= ბრონქული ასთმის სამკურნალო პრეპარატები (მაგ.: ეუფილინი, ტეოტარდი და სხვა); პაციენტის საინფორმაციო ფურცელი

= ხველის საწინააღმდეგო და ამოსახველებელი საშუალებები (მაგ.: ლაზოლვანი, ბრომჰექსინი, სინეკოდი და სხვა);

= ალერგიის საწინააღმდეგო პრეპარატები (მაგ.:ერიუსი, ალერფასტი, კლარიტინი, სუპრასტინი და სხვა);

= დებინების საწინააღმდეგო მედიკამენტები (მაგ.: დრამ ნა)

= ანემიის საწინააღმდეგო საშუალებები (მაგ.: ფეროფოლგამა, ფეროვიტი, ფეროპლექსი, ფოლის მჟავა და სხვა);

= გამხსნელის სახით გამოყენებული საშუალებები (საინექციო წყალი, ფიზიოლოგიური ხსნარი);

= ბიოლოგიურად აქტიური დანამატები და სხვ. ურეცეპტოდ გასაცემი მედიკამენტების ჩამონათვალი განთავსებულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საიტებზე (www.moh.ge; www.rama.moh.gov.ge). აღნიშნული სიები შედგენილია სხვადასხვა პრინციპით (მაგ.: ანბანის მიხედვით; სავაჭრო დასახელებით), რათა მომხმარებელმა ადვილად შეძლოს მისთვის სასურველი მედიკამენტის მოძებნა.

დასასრული შემდეგ ნომერში

ძიუდო და ქალები

ლუდმილა ფერაძე – წარმატებული ძიუდოისტი და მწვრთნელი

საგარეჯოს რაიონის თავისი სახელოვანი სპორტსმენები, მწვრთნელებით, სპორტული მიღწევებით ცნობილია მსოფლიოში. საგარეჯო – მსოფლიო მასშტაბით ერთ-ერთი ძლიერი ცენტრია ჭიდაობაში. ყველა ტიტული, რაც კი მსოფლიოს გააჩნია ჭიდაობაში – გარეჯელებს აქვთ მოპოვებული, ასე, რომ ამ მხრივ მათ ვერავინ გააკვირვებს. მაგრამ ამ ბოლო დროს სულ უფრო თვალსაჩინო ხდება მსოფლიოს, ევროპის, საქართველოს საჭიდაო სარბიელზე საგარეჯოელი ნორჩი ძიუდოისტი გოგონების წარმატებები, რამაც ყოველისმნახველი გარეჯელები სასიამოვნოდ გააკვირვა და გაახარა.

არიან სპორტსმენები, მწვრთნელები, რომლებიც ფანატიკურად არიან შეყვარებული თავიანთ საქმიანობაზე, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე, საკუთარი სახსრებით ემსახურებიან მოზარდი თაობის აღზრდა-დაოსტატების საქმეს. მიუხედავად მრავალი სიძნელეებისა, ისინი რუდუნებით, მოთმინებით ლახავენ ამ სიძნელეებს და მათი ცხოვრების მთავარი მიზანია – ახალგაზრდა თაობა გაიყვანონ მსოფლიო არენაზე, ასახელონ ქვეყანა – არ თხოულობენ ამისათვის არავითარ ჯილდო-აღიარებას. და თუ მათ სახელმწიფოს მხრიდან ხელშეწყობაც ექნებათ – წარმატებებიც არ დააყოვნებს. ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნება საგარეჯოელი ნორჩი ძიუდიუსტი გოგონების მწვრთნელი ლუდმილა ფერაძე, რომელიც სულ რაღაც ხუთიოდე თვეა, რაც ავარჯიშებს ძიუდოისტ გოგონებს და მისი შეგირდები უკვე თვალსაჩინო წარმატებებს აღწევენ არა მარტო საქართველოს, არამედ ევროპის მასშტაბითაც! უფრო დაწვრილებით თვით ლუდმილა ფერაძისგან შევიტყობთ:

– რამ გადაგაწყვეტინათ, როგორც ქალს გამხდარიყავით ძიუდოისტი და მწვრთნელი?

– შეიძლება ითქვას, რომ ძიუდოსადმი სიყვარული და საერთოდ, მებრძოლი სული გენეტიკურადაც მომყვება. პაპაჩემი და მამიდა, ასევე დედაც საკმაოდ კარგად ერკვეოდნენ ძიუდოს ნიუანსებში. პაპა და მამა ძლიერი ძიუდოისტები ყოფილან,მათ ფიზიკურ ძლიერებაზე ბევრს ჰყვებიან. პაპა იყო სამხედრო პიროვნება, პატარაობიდანვე მაზიარა ძიუდოს საიდუმლოებებს. მისი სურვილი იყო ჩემგან გამოსულიყო მეომარი, მებრძოლი სულის ადამიანი – მოჭიდავე, რომელიც თვითდამკვიდრებას, თავის დაცვას წარმატებით შეძლებდა. ამას დაემატა პირადი მიზანი გავმხდარიყავი წარმატებული ძიუდოისტი, რითაც არა მარტო თავს დავიცავდი, არამედ სხვებსაც ვასწავლიდი ძიუდოს ხელოვნებას.

– რა წარმატებებს მიაღწიეთ ძიუდოში?

– ვარ საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი 56 კგ წონით კატეგორიაში, სსრკ სპორტსაზოგადოებების „შრომითი რეზერვების“ და ცსკ-ას საკავშირო ჩემპიონი, წლების განმავლობაში ვიყავი სსრკ ნაკრების წევრი, მსოფლიო და ევროპის პირველობებზე ვიკავებდი საპრიზო ადგილებს, წლების განმავლობაში ვიყავი საქართველოს ნაკრების წამყვანი მოჭიდავე. ჩემს წარმატებებში დიდი როლი მიუძღვის მწვრთნელს გიორგი ველიჯანაშვილს, რომელიც იყო საქართველოს ძიუდოისტი გოგონების ნაკრების მწვრთნელი.

– როგორ მოხვდით ძიუდოს მწვრთნელის ამპლუაში?

– ქ. ვორონეჟის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიოლოგიის ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ მუშაობა დავიწყე ქ. თბილისის 63-ე სკოლაში ბიოლოგიის მასწავლებლად, სადაც 4 წელი ვიმუშავე, ამავე დროს დავამთავრე თბილისის ფიზიკური კულტურისა და სპორტის აკადემია, ძიუდოს განხრით. არჩევანის წინაშე დავდექი – სპორტი თუ ბიოლოგია? 63-ე სკოლის დირექტორის ქ-ნ ნანა მონიავას ხელშეწყობით ამავე სკოლაში დავიწყე მუშაობა სპორტის მასწავლებლად, სადაც დღემდე ვმუშაობ ჩემს კოლეგასთან, ასევე ყოფილ მოჭიდავე ეკა მჭედლიშვილთან ერთად. 1999-2000 წლებში საქართველოში გოგონების ძიუდო ფაქტობრივად ჩამკვდარი იყო. 2000 წელს საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს ანზორ მარტყოფლიშვილს შევთავაზე გამეხსნა ქალთა ძიუდოს ჯგუფი. ანზორმა ცოტა იეჭვიანა – გოგონებმა შეიძლება ძიუდოზე არ იარონო, მაგრამ ამასთან, ყველანაირად გვერდში დამიდგა – გამომიყო სავარჯიშოდ ვაკეში ძიუდოს საჭიდაო დარბაზი და ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე დავიწყე გოგონების ძიუდოს სექციის ჩამოყალიბება.

– რა სიძნელეებს წააწყდით, როგორ გადალახეთ და რა წარმატებებს მიაღწიეთ მწვრთნელის კარიერის დასაწყისში და შემდგომ?

– თავიდან არცთუ ბევრი გოგონა იყო მსურველი ჩაწერილიყო ძიუდოს სექციაში. თითქმის 6 თვე ვავარჯიშებდი 1 ბოშა გოგონას, სავარჯიშოდ ვაგროვებდი უპატრონოდ დარჩენილ გოგონებს საკუთარი ხარჯებით. სკოლაშიც იმიტომ დავიწყე მუშაობა, რომ აღებული ხელფასით მეგლო საჭიდაო დარბაზში. ძიუდოისტ გოგონებს საკუთარი ხარჯებით ვუტარებდი შეკრებებს წელიწადში ორჯერ ბორჯომსა და ბაკურიანში, დამყავდა ისინი სხვადასხვა შეჯიბრებებზე. აქვე დავძენ, რომ ამ საქმეში განუზომელ დახმარებათანადგომას მიწევდა და მიწევს ჩემი მეუღლე, საქართველოს რაგბის ნაკრების ყოფილი წევრი ზურაბ ფერაძე. იგი დღესაც ჩემი აქტიური დამხმარეა, როგორც ნორჩი ძიუდოისტი გოგონების დაფინანსებაში, ასევე შეკრებების, ვარჯიშების ორგანიზებაში. იგი არის სპორტზე უზომოდ შეყვარებული პიროვნება.

ცნობისათვის აღვნიშნავთ, რომ ლუდმილა არის შესანიშნავი ოჯახის დედა, ჰყავთ 2 შვილი: ბიჭი – შალვა ფერაძე, დაინტერესებულია რაგბით, სწავლობს გ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე, ხოლო 15 წლის თათია ფერაძე მე-10 კლასის მოსწავლეა, მისდევს ძიუდოს.

მონდომებამ, დაუდალავმა შრომამ, საქმისადმი სიყვარულმა თავისი შედეგები გამოიღო. მოვიდა პირველი წარმატებები. ერთ-ერთი საუკეთესო ჩემი შეგირდებიდან იყო ფიზიკურად საკმაოდ ძლიერი თინათინ ქულუხაშვილი („ბაკალას გოგო“) 63 კგ წონით კატეგორიაში. მან ბევრ წარმატებებს მიაღწია, იყო საქართველოს ძიუდოისტ გოგონათა ნაკრების წამყვანი მოჭიდავე, ევროპის პირველობაზე იყო მეორე; მოგებული აქვს მრავალი საერთაშორისო ტურნირი, დამარცხებული ჰყავს მსოფლიო ჩემპიონები ანა და ანჟელიკა მკრტიჩიანები, ასევე დიდებში აზერბაიჯანის ჩემპიონი და როცა იმედი გვქონდა, რომ მას უნდა დაეპყრო მსოფლიო მწვერვალები, აირჩია ქალისათვის მთავარი მოწოდება – გათხოვდა და ამჟამად შვილების სამსახურშია – სპორტს თავი გაანება. აღსანიშნავია აგრეთვე მარიამ გაგოშაშვილის (52კგ), თამუნა ჯინჭარაძის (52კგ), 78 კგ წონით კატეგორიაში თამარ ლომიძის (მისი და ნათია ლომიძე ჭიდაობდა ლუდასთან ერთად და მან თავისი პატარა და თამრიკო მოიყვანა ლუდასთან სავარჯიშოდ – (თ. კ.) – მათ მოგებული აქვთ მრავალი საერთაშორისო, რესპუბლიკური, რეგიონალური ტურნირები.

– როგორც ცნობილია, ახლახან საბერძნეთის დედაქალაქ ათენში დამთავრებულ ძიუდოში ჭაბუკთა და გოგონების ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ნაკრების 6 წევრიდან წარმატებას მხოლოდ თქვენმა შეგირდმა ნატალია ყიფშიძემ მიაღწია, მიუხედავად ტრავმისა და მსაჯთა არაობიექტურობისა, ნატალიამ საპატიო მე-5 ადგილი დაიკავა. გვიამბეთ უფრო დაწვრილებით მის შესახებ.

– ნატალია ყიფშიძე (40 კგ) ჩემთან ძალიან პატარა სავარჯიშოდ მოიყვანა მისმა მეზობელმა. თავიდან შემეშინდა, ვიფიქრე, ამისგან რა გამოვამეთქი, მოიყოლა თავისი უფროსი და, გავიფიქრე ალბათ ნატო ისე გამოყვა-მეთქი. 9 წლისა არ იყო, თავიდან ვერ აცნობიერებდა სიტუაციას, მაგრამ ბრძოლის ჟინი, მონდომება არ აკლდა. 1 წლის მერე საქართველოს პირველობაზე დაიკავა მე-3 ადგილი, რამაც მეტი სტიმული მისცა, დაიწყო სერიოზული ვარჯიში, არის ძალიან შრომისმოყვარე, დამჯერი, ფიზიკურადაც საკმაოდ ძლიერია, ბაგირზე ადის 30-ჯერ, რითაც ყველას სჯობნის. ყაზახეთში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირზე მე-3 იყო, ხოლო უკრაინაში ჩემპიონი გახდა, უნგრეთში გამართულ საერთაშორისო ტურნირში მე-2 ადგილი დაიკავა. თავისი რეიტინგით საქართველოში პირველია. იგი იმდენად მოეწონათ, რომ საქართველოს ძიუდოისტ გოგონათა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი თენაძემ მიიწვია 2-3 წლით დიდებში საასპარეზოდ. ნატალია ამჟამად 15 წლისაა და მთელი მომავალი წინა აქვს. რაც შეეხება ქ. ათენში მის გამოსვლას – ჩვენი ნაკრების 6 წევრიდან ყველაზე უკეთ მან იჭიდავა. ბრიტანელ მოლი ჰარვეისთან იუკოთი მოგების შემდეგ ის რუს ბიკოვასთან მსაჯების არაობიექტურობის გამო დამარცხდა და ხელიც იტკინა. ამის მიუხედავად კვიპროსელ ვასილიკი კიური ისევ იუკოთი დაჯაბნა, მაგრამ სერბ მარია ივკოვიჩთან შეხვედრაში თანაბარ ორთაბრძოლაში ხელის ტკივილმა თავისი გაიტანა და დათმო ეს შეხვედრა. ამჟამად იგი გადის მკურნალობას ექიმ ზურაბ კახაბრიშვილთან და მასაჟისტ გივი ჭინჭარაძესთან, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რომ ნატო დროულად ჩადგეს მწყობრში. ნატალია გენეტიკურად სპორტსმენია, მამამისი ვახტანგი – ყოფილი წარმატებული მძლეოსანია, ხოლო მისი და იულია ყიფშიძე ტანვარჯიშში ოლიმპიური ვიცე ჩემპიონია.

– როგორ მოხვდით თბილისში დაბადებული, გაზრდილი – საგარეჯოში ძიუდოს მწვრთნელად?

– გენეტიკური ფესვები საგარეჯოდან (სოფლები: გიორგიწმინდა და ყანდაურა) მაქვს. საგარეჯოს ჭიდაობის სკოლა მსოფლიოშია ცნობილი, შეიძლება ითქვას, რომ საგარეჯოელი დაბადებიდანვე მოჭიდავეა. მათში მოჭიდავის კოდია ჩადებული, დიდია ბუნებრივი მონაცემები, რომლებსაც მხოლოდ განვითარება სჭირდება. ჩემმა მეგობარმა, ყოფილმა მოჭიდავემ გიორგი ადუაშვილმა დამაკავშირა საგარეჯოში სპორტის თავკაცთან – სპორტისა და განსაკუთრებით ჭიდაობის დიდ ქომაგთან გია მაისურაძესთან, რომელმაც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობასთან, ასევე მუნიციპალიტეტის სპორტის მთავარ სპეციალისტთან გია ხოსიტაშვილთან ერთად ყველა პირობა შემიქმნეს, რომ ჩემი ცოდნა-გამოცდილება გადავცე ნორჩ გოგონებს – ძიუდოისტებს, რისთვისაც ისინი მადლობას იმსახურებენ. შესანიშნავი ინფრასტრუქტურა ყველა პირობას ქმნის წარმატების მისაღწევად.

– როგორია საგარეჯოელი ძიუდოისტი გოგონების პირველი წარმატებები?

– მიუხედავად იმისა, რომ საგარეჯოში 5 თვეც არ არის, რაც ძიუდოს მწვრთნელად დავიწყე მუშაობა, წარმატებები თვალში საცემია. დიდია გოგონების ძიუდოთი დაინტერესება. ჩვენთან უკვე 30-ზე მეტი გოგონა ვარჯიშობს. მოდიან გოგონები მეზობელი სოფლებიდანაც.

ახლახან ბათუმში ჩატარებულ საერთაშორისო ტურნირში გვქონდა პირველი გასვლა. წაყვანილი 20 გოგონადან მოვიპოვეთ 16 მედალი, რაც შთამბეჭდავი წარმატებაა. თურქეთის ნაკრების მწვრთნელი გაკვირვებას ვერ მალავდა, არ სჯეროდა, თუ ასე მცირე დროში ამდენის მიღწევა შეეძლოთ. მან საგარეჯოელები მიიწვია თურქეთში აგვისტოში ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად. მას ძალიან მოეწონა ჩვენი ძიუდოისტი გოგონები: მაია მეკოკიშვილი (36კგ), მარიამ ხოსიტაშვილი (28კგ), სალომე არაბული (28კგ), მარიამ კოხტაშვილი (44კგ), მარიამ ლაფაჩიშვილი (46კგ), თინიკო რევაზიშვილი (48კგ), სალომე გულისაშვილი (34კგ), ხატია მინდიაშვილი (42კგ) და სხვები, რომლებმაც გამოუცდელობის გამო წააგეს ფინალში, ნახევაფინალში და მოიპოვეს მე-2-3 ადგილები. ზოგიერთი მათგანი, მაგალითად მარიამ ლაფაჩიშვილი 2 თვის მოსულიც არ არის სავარჯიშოდ. მცირე დროის მიუხედავად ამ ბავშვებმა უკვე თავი გამოიჩინეს ქვეყნის, რეგიონის მასშტაბით გამართულ შეჯიბრებებში. მჯერა, რომ უახლოეს ხანში ისინი უფრო მაღალ სპორტულ მწვერვალებს დაიპყრობენ.

– და ბოლოს, თქვენი თხოვნა-სურვილი?

– რაიონის გამგეობის, სპორტის მესვეურების მხრიდან შესანიშნავი თანადგომა მაქვს. პირველმა შთამბეჭდავმა წარმატებებმა მათაც მეტი მოტივაცია მისცა ხელშეწყობისათვის. თხოვნა იქნება, რომ სპორტულ გაერთიანებებში უფრო მეტი თანხა გამოუყონ ბიუჯეტიდან, რათა ნორჩმა ძიუდოისტებმა, თუ სპორტის სხვა სახეობებში გაერთიანებულმა ბავშვებმა უფრო მეტ პირველობებში მიიღონ მონაწილეობა, რაც სპორტული დაოსტატებისათვის აუცილებელი პირობაა. ამასთან, ვთხოვთ საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტს, ბატონ დავით ქევხიშვილს – გამოგვიყოს ძიუდოს ტატამი.

ჩვენი ნორჩი ძიუდოისტი გოგონების ჭიდაობით ისე მოიხიბლნენ ლეგენდარული ლევან თედიაშვილი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ტარიელ როსტომაშვილი, რომ თანახმა არიან მუშაობაში კონსულტაციები გაგვიწიონ.

– და ბოლოს, ისდა დაგვრჩენია – სპორტზე, ძიუდოზე ასე უზომოდ შეყვარებულ ქალს, წარმატებულ ძიუდოისტსა და მწვრთნელს ვუსურვოთ პირველ რიგში ჯანმრთელობა და მის შეგირდებს მსოფლიო მწვერვალების დაპყრობა.

თენგიზ კოგიაშვილი

სიცხე და მეხანძრეები

„აგვისტოში ხანძრებზე გამოძახებამ „პიკს“ მიაღწია“

– ასეთი განცხადება გააკეთა ჩვენთან ***საუბარში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის სახანძრო-სამაშველო სამსახურის უფროსის მოადგილემ*** **ფრიდონ ბეჟიაშვილმა.** მისი განცხადებით, ხანძრების ასეთი სიხშირე შესაბამისი პერიოდისათვის წინა წლებში, არასოდეს დაფიქსირებულა. ეს გასაკვირი სრულებითაც არაა. წლევანდელი გვალვიანი ზაფხულის პირობებში, როცა დიდი სიცხის გამო ირგვლივ ისედაც გადამწვარი და გაფიცხებულია ბალახი, ერთ პატარა ნაპერწკალსაც კი შეუძლია გახდეს ხანძრისა და უბედურების მიზეზი. ეს კი ჩვენ, ადამიანებს კიდევ ერთხელ მოგვიწოდებს ცეცხლთან მიმართებაში უფრო მეტი ყურადღებისაკენ. კონკრეტულად, ხანძრების რა შემთხვევებს ჰქონდა ადგილი ზაფხულის დამამთავრებელ თვეს და რა შედეგებით დასრულდა ისინი, ამას ბ-ნ ფრიდონთან საუბრიდან შეიტყობთ.

– ბ-ნო ფრიდონ, რამდენადაც ვიცი, თქვენი კოლექტივი მებრძოლი, მობილური კოლექტივია, რომელიც მოძველებული ტექნიკის პირობებშიც კი არასოდეს იხევს უკან ხანძართან მიმართებაში და ბევრჯერაც გამოსულა მასთან ბრძოლაში გამარჯვებული, გადაურჩენია ადამიანების ქონება, ტყე, მინდვრები და ა.შ. – მაგრამ თქვენი განცხადებიდან გამომდინარე, ეტყობა აგვისტოში უცნაური იყო ხანძრების მართლაც ბევრი შემთხვევა...

– კი, თავიდანვე განვაცხადე, აგვისტოში მეტად დაძაბული მუშაობა მოგვიწია. მოგეხსენებათ, ხანძრის ქრობის გარდა, ჩვენი სამსახური სხვა სამაშველო სამუშაოებსაც ახორციელებს და საერთო ჯამში, ამ თვეში 44 გასვლა გვქონდა. აქედან, მარტო ხანძარზე – 28, საიდანაც ორი შემთხვევა შეეხებოდა ტყის, დანარჩენი დია ტერიტორიების, საკარმიდამო ნაკვეთების, დამხმარე სათავსოების ხანძრების ქრობის შემთხვევებს და სხვა.

– ჩვენს პირობებში გაჩეხილ-გაკერანებულ და სიცხისგან ნაადრევად ფერშეცვლილ ტყეს რომ კიდევ ხანძარი გაუჩნდება, ეს დიდი უბედურებაა და ჩემი აზრით, ხანძრისგან მის გადარჩენაზე მზრუნველი და მებრძოლი ადამიანი ნამდვილად დასაფასებელია. კერძოდ, მუნიციპალიტეტის რომელ ადგილებში და რა პირობებში მოგიწიათ ამ სამუშაოების შესრულება?

– ასეთ შემთხვევას ადგილი ჰქონდა კაკაბეთის სატყეოს 34-ე კვადრატში, სადაც ადგილი 80 გრადუსიანი დახრილობისაა. აქედან გამომდინარე, ჩვენ იქ სახანძრო მანქანის გამოყენება ვერ შევძელით და ზურგის აპარატებითა და ხელით მოგვიხდა ხანძართან ბრძოლა. ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწიეს გურჯაანისა და კაჭრეთის სამაშველო სამსახურების მუშაკებმაც, რის შედეგადაც მოკლე ვადებში, როგორც ამის საშუალებას ტყის რელიეფი გვაძლევდა, შევძელით ხანძრის ჩაქრობა, თუმცა, ცეცხლმა მაინც მოასწრო რამდენიმე ჰექტარის განადგურება.

რაც შეეხება ტყის ხანძრის მეორე შემთხვევას, მას ადგილი ჰქონდა ყვარლის ტყეში, სადაც კახეთის სხვა სახანძრო-სამაშველო სამსახურის მუშაკებთან ერთად ჩვენც ვიყავით დასახმარებლად ჩასული. კაკაბეთის ტყისაგან განსხვავებით, აქ ხანძრის უფრო დიდ მასშტაბებთან გვქონდა საქმე და მის ჩაქრობას 24-დან 31 აგვისტოს ჩათვლით თითქმის 7 დღე დასჭირდა. ამ 7 დღის განმავლობაში ხანძრის ქრობას უშუალოდ ესწრებოდა ჩვენი სამსახურის უფროსი ზაქარია ოტიაშვილი და მასში მონაწილეობა ჩვენი სამსახურის ყველა მუშაკმა მიიღო. პირადად მე ვხელმძღვანელობდი საგარეჯოდან ყოველდღე შენაცვლებით 5-5 მეხანძრის ყვარელში გამგზავრების საქმეს, სადაც ხდებოდა დაღლილი მეხანძრეების ჩანაცვლება დასვენებული მუშაკებით.

ყვარლის ტყეში ხანძრის ქრობის პარალელურად მოგვარდა ხაშმის ე.წ. დამსვენებელთა აგარაკებზე ხანძრის ჩაქრობა, სადაც ცეცხლი ჰქონდა მოდებული ერთ-ერთი დამსვენებლის კერძო სათავსოს.

– როგორც ვიცით, გომბორის ე.წ. „ტეკთან“ იყო გაჩენილი ხანძარი...

– როგორც ცნობილია, თქვენს მიერ მოხსენებული ტერიტორია ჩვენი მუნიციპალიტეტის ახლოს მდებარეობს და ამ ხანძარზეც მიიღო გამოძახება ჩვენმა სამსახურმა. აქ ცეცხლი ჰქონდა მოდებული გამხმარ ბალახს, ნარგაობას, რომლის ჩაქრობაზეც არავის დაუზოგავს ენერგია, არც ჩვენ და არც სხვა მეხანძრეებს. საბოლოოდ შეთანხმებული და კოორდინირებული მუშაობით შევძელით ხანძრისგან გადაგვერჩინა იქვე ახლოს მდებარე ჩალური ფერმა და მიმდებარე გატყევებული ფართობებიც.

– ბატონო ფრიდონ, მოსახლეობა როგორ რეაგირებს ხოლმე ხანძრებზე და თუ გეხმარებათ მის ჩაქრობაში?

– როგორ არა. სადაც კი ამის საშუალება აქვთ, ჩვენს მისვლამდეც საკუთარი ძალებით ერთვებიან ცეცხლის ჩაქრობაში, რაზედაც მე არაერთხელ ადმინიშნავს. დიდ თანადგომას და დახმარებას ვგრძნობთ ჩვენი მუნიციპალიტეტის გამგებლის ბ-ნ გიორგი გზირიშვილის მხრიდან. როცა ყვარელში ცეცხლის ქრობაზე ვმუშაობდით, ყოველდღე გვქონდა სატელეფონო კავშირი და ინტერესდებოდა საქმის ვითარებით და ყოველთვის გამოთქვამდა მზადყოფნას დახმარებისათვის, ხოლო ბადიაურში დია ტერიტორიაზე გაჩენილი ხანძრის დროს პირადად, ფიზიკურად გვეხმარებოდა მის ჩაქრობაში.

მუშაობაში მუდამ გვეხმარება და გვერდით გვიდგას საგარეჯოს პოლიციის უფროსი დავით ჭიაბერაშვილი. მოხდა ისე, რომ ყვარელში ხანძრის ქრობის დროს უჯარმის ტბაზე თევზაობისას ერთ-ერთი დამსვენებელი საკუთარი ავტომანქანით ტბაში ჩავარდა. ჩვენს სამსახურს კი ამ დროს ტექნიკური საშუალება არ გააჩნდა მის დასახმარებლად, რადგან ყველა ავტომანქანა შემთხვევის ადგილზე იყო, მათ შორის ერთი სამხიდიანი ყვარელში გვქონდა გაგზავნილი. ისევე, როგორც სხვა დროს, ამ შემთხვევაშიც პოლიციის უფროსმა და მისმა მუშაკებმა გაგვიწიეს სათანადო დახმარება და საკუთარი მანქანით ტბიდან ამოიყვანეს ჩავარდნილი „ML“-ის მარკის მანქანა.

აღნიშნულის გარდა, სამაშველო დახმარებაზე ვიყავით ჩვენი მუნიციპალიტეტის სოფლებში – კახლარში, იორმუღანლოსა და სხვა.

– როგორც შევიტყვეთ, საგარეჯოს პოლიციის შენობასთან ჩვენი მუნიციპალიტეტის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების მანქანა გადაგირჩენიათ დაწვას, თუ არ ვცდები, ეს ამ სამსახურის მანქანებზე ხანძრის უკვე მეორე შემთხვევაა, არა?

– როგორც ეტყობა, ამ სამსახურის მანქანები უკვე ძალზე მოძველდა და ხანძარი უჩნდება ხოლმე, ცეცხლის წარმოშობის ნამდვილ მიზეზებზე სასაუბროდ მე კომპეტენცია არ გამაჩნია და ამას ალბათ გამოძიება დაადგენს. რაც მთავარია, ჩვენმა სამსახურმა თავისი ფუნქცია შეასრულა და იგი დაწვისგან გადაარჩინა.

– აგვისტოს რეკორდული გამოძახებების ფონზე ფიქტიური გამოძახებებიც ხომ არ ყოფილა?

– სამწუხაროდ, ამ თვეში არც ასეთი შემთხვევისაგან ვიყავით დაზღვეული. კერძოდ, ასეთ შემთხვევებს ჰქონდა ადგილი თოხლიაურში, უჯარმაში, საგარეჯოში ჯაფარიძის ქუჩაზე, სადაც მისასვლელად დაიხარჯა გარკვეული დრო, საწვავი, სახსრები, ენერგია. ამ დროს შეიძლება ხანძარი სხვაგან წარმოშობილიყო და ჩვენი თავი დასჭირებოდათ, ჩვენ კი ამ ფიქტიური გამოძახების გამო ვერ შევძლებდით მათზე დროულ რეაგირებას. ამიტომ, ჩემი თხოვნა იქნება მოსახლეობისადმი, თავი შეიკავონ მსგავსი ქმედებებისაგან, რადგან ჩვენს სამსახურს სახუმაროდ არასოდეს აქვს საქმე და იმ წუთებში, როცა ჩვენ ტყუილად გვაცდენენ, შეიძლება გამოუსწორებელი შედეგები განვითარდეს.

ესაუბრა

გივი დაბახიშვილი

„ლიტერატურული მარათონის“ გამარჯვებულნი

26 ივნისს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის (მთ. სპეციალისტი ნაზი არჩუაძე) ორგანიზებით ჩატარდა „ლიტერატურული მარათონი“ 15-20 წლის ასაკის ახალგაზრდებისათვის. მარათონში მუნიციპალიტეტის 34-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. მარათონის მონაწილეებს უნდა შეექმნათ ნაწარმოებები, რომლებშიც დასაწყის ფრაზებად გამოყენებული იქნებოდა ნაწყვეტი ცნობილი ქართველი მწერლის შიო არაგვისპირელის მოთხრობიდან „ყველაი დავკარგე“. „ეგებ არ დამიჯეროთ, ან ჩემი გამოგონილი გეგონოთ, რადგან ის, რასაც მოგითხრობთ, გარდასულ საუკუნეებში კი არ მომხდარა, არამედ ახლა“. და რიონესკუ აკუტაგავას „ჯადოქრიდან“ – ... ცხვრის ბინის ახლოს ათასგვრად აყვავებულ პატარა ბექობზე, რომელიც კოხტად შეკრულ თაიგულს ემსგავსებოდა, იჯდა ყვავილთა დედოფალი, სიმშვენიერის გვირგვინი, ჯერ ახლად გაშლილი მთიულის ქალი“. გამოსაყენებელი სიტყვები: ხორცის მჭამელი; ბაქანი; ადიუტანტი; ჯვარი; აშლილი; წამი; ქორწილი; შუქი; განსჯა; სანატორიუმი. ნაწარმოებების შესაფასებლად შექმნილი იყო კომპეტენტური ჟიური, რომელმაც გამოავლინა მარათონის გამარჯვებულნი, კერძოდ, გამარჯვებულად დასახელდა და **I პრიზი** მიეკუთვნა ***საგარეჯოს II საჯარო სკოლის XI კლასის მოსწავლეს*** **მაგდა საბინაშვილს. მეორე ადგილი** მიეკუთვნა და შესაბამისი პრიზი გადაეცა ***საგარეჯოს IV საჯარო სკოლის მოსწავლეს*** **ნანუკა ოტიაშვილს,** ხოლო **III ადგილი** წილად ხვდა ***გიორგიწმინდელ მოსწავლეს*** **მარიამ კეკლიშვილს**.

ლიტერატურული მარათონის მონაწილენი და გამარჯვებულნი დაჯილდოვდნენ შესაბამისი პრიზებით, წიგნებით, სუვენირებითა და ფასიანი საჩუქრებით. მათვე ჩვენმა თანამემამულე პოეტმა რომან ზუკაკიშვილმა საჩუქრად გადასცა თავისი ლექსების კრებული.

გ. დაბახიშვილი

ქუჩის მონოლოგი

ჩემს თვალწინ მოსახლეობით დასახლდა, შეივსო, გალამაზდა და გაიზარდა აქაურობა. ჯერ მდინარე თვალთხევს მივუყვები გვერდით, მერე ისე ვციალდები, მისი ხმაც აღარ მესმის გაზაფხულსა და შემოდგომაზეც კი. თავდაპირველად საგარეჯოელები აქ დასახლდნენ, სწორედ ამ მხარეს, აქ ჩამოსახლდნენ ქართლის სხვადასხვა სოფლებიდან კავთუაშვილები, ფანოზიშვილები, მეკოკიშვილები. ამ გვარებს სომხური წარმომავლობის გვარებიც დაემატა და ერთ ხანს ამ დასახლებას „სომხის უბანსაც“ უწოდებდნენ, შემდეგ სომხური წარმომავლობის გვარები ქართულ გვარებად გადაიკეთეს. აქ იყო სწორედ ციხე, რომელსაც ომიანობისა და ლეკიანობის დროს აქაურები თავს აფარებდნენ. აქ იყო იოანე ნათლისმცემლის ეკლესია. ამ ქუჩაზე 1875 წლის 20 ოქტომბერს გაიხსნა ორკლასიანი სკოლა, სადაც საგარეჯოელთა პირველი მასწავლებელი ალექსანდრე ცხვედაძე წერა-კითხვას ასწავლიდა აქაურებს. ცოტა ქვემოთ „ბაზრის უბანი“ იყო, სადაც ახლომდებარე სოფლებიდან მოდიოდნენ გლეხები, ხელოსნები, იყო დიდი ვაჭრობა. ახლა მზესა და ყინვაში გარეთ დგანან მოვაჭრეები. ზოგჯერ სირცხვილის ალმურიც კი ამვარდნია, როცა უცხოელი აქ ხილს ყიდულობს. მართლაც რას ჰგავს ეს ყველაფერი?! ფეხით სასიარულო ადგილები კი აქ გახსნილი ბანკების წინაც აღარ არის, მანქანებმა დაიპყრეს ეს ყველაფერი. შემდეგ ხებრელაშვილების, მელაშვილების, ესაიაშვილების, ივანელაშვილების უბანს მივუყვები, სადაც დღეს დავით გარეჯელის ნიშია. აქ ადრე, სამი საუკუნის წინაც დაუსახლებელი იყო, აქ იქადაგა დავით გარეჯელმა ქრისტიანობა და ეს ნიშიც ქრისტიანობის შესახსენებლად არის. ქვემოთ კახეთის ქუჩა მიერთდება გზაჯვარედინზე. უფრო ქვემოთ გულიკაშვილები, შათირიშვილები, ალექსაშვილები, ყორღანაშვილები ცხოვრობენ. შემდეგ რესპუბლიკური მნიშვნელობის ავტომაგისტრალმა გადაკვეთა ერთი ნაწილი და იქიდან პირდაპირ „კოსტაფესკენ“ ვეშვები, ვენახებისაკენ. ვის არ უვლია ჩემს გულზე, ახლა ისინი, ვინც ფეხი აიდგეს, უკვე დიდი ხნის წასულებიც არიან ამ საწუთროდან. ვინ იცის, მერამდენე თაობა დადის დღეს. ყოველთვის ყურადღების ქვეშ ვიყავი, ცენტრალური ქუჩაო, ჯერ ქვაფენილი იყო (რა თქმა უნდა დღევანდელ ცენტრალურ წრემდე), შემდეგ კი ასფალტი დაიგო, ალბათ უკვე მეცხრე პირი. ახლა ადგილ-ადგილ ამოჭრეს ორმოები, რომლებიც მაუშნოებდა, ასფალტით გადაიგება. მაგრამ, რა ქნას ფეხითმოსიარულეთათვის განკუთვნილმა ბილიკებმა, ე.წ. ტროტუარებმა?! რა დააშავეს?! იშვიათია ადამიანი იქ დადიოდეს, ყველა, ყველა – მანქანაა თუ ქვეითად მოსიარულე, ყველა შუა ქუჩაში დადის. ხეების ფესვებისგან დაზიანებული ბილიკი საშიშროებასაც კი წარმოადგენს ადამიანისთვის. მარჯვენა მხარეს წყალსაწრეტი არხიც შეარემონტეს, ე.წ. კიუვეტი, მაგრამ რა დააშავა მარცხენა მხარემ?! ახლა ნუ იტყვით და სახელიც გამომიცვალეს, სტალინის ქუჩა აღარ მქვია, ორი წელიწადია ერეკლე მეორის სახელს ვატარებ. თუმცა, ჩემთვის სულ ერთია, ოღონდ სიჩქარის შემზღუდავი ზღუდარებით ნუ დამამახინჯებთ – იქნებ სიჩქარის შემანელებელი ნიშანი დასვათ ქუჩის თავსა და ბოლოში?!

ამ ყველაფერს, რაც მე მტკივა, ყველა ფეხითმოსიარულე შეამჩნევს და ალბათ თანამიგრძნობს, მაგრამ ის, ვინც მანქანით დადის, მხოლოდ ორმოებს თუ დაინახავს. ამ ქუჩაზე ყოველ დილა-საღამოს მუნიციპალიტეტის ორივე ხელმძღვანელი მანქანით მოძრაობს, ძალიან მინდა დაინახონ ეს ყველაფერი, იქნებ მიშველონ რამე?! არც თუ ისე პატარა ვარ – 2 კილომეტრი და 200 მეტრი, 8 შესახვევით და ათეულობით კომლით.

სწავლის მსურველთათვის

განცხადება

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ. საგარეჯოს ავტორიზებული საგანმანათლებლო დაწესებულება – პროფესიული კოლეჯი, აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2014–2015 სასწავლო წლისათვის შემდეგ სპეციალობებზე:

1. ბუღალტერია
2. ოფისის მენეჯერი
3. ექთნის თანაშემწე
4. კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსი

კოლეჯი გასცემს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიულ დიპლომს.

სასწავლებელში მუშაობს კომპიუტერული კურსები (საოფისე პროგრამები), რომელიც შედის სწავლის საფასურში. გაიცემა კომპიუტერის სერთიფიკატი.

სწავლა შესაძლებელია წარმოებიდან მოუწყვეტლადაც, ამისათვის მუშაობს მოქნილი ინდივიდუალური სასწავლო გრაფიკი.

კოლეჯში მუშაობს სხვადასხვა მიმართულების განმავითარებელი პროგრამები, რომელზედაც სასწავლებელი გასცემს სერთიფიკატის, როგორებიცაა:

1. **ბაგა–ბაღის აღმზრდელი**
2. **ბანკის ოპერატორი**
3. **ფარმაცევტის თანაშემწე**
4. **პრაქტიკოსი ექთანი და სხვა**

ყველა აბიტურიენტისათვის და ნებისმიერი მსურველისათვის შესაძლებელია სასურველი სასერთიფიკატო პროგრამის შესწავლა და შესაბამისი სერთიფიკატს აღება. ამისათვის კოლეჯში მუდმივად მუშაობს სპეციალისტ–პროგრამისტთა ჯგუფი.

საგარეჯოს ავტორიზებული პროფესიული კოლეჯის მიერ გაცემული ორი ლეგიტიმური დოკუმენტი – სახელმწიფო პროფესიული დიპლომი და კოლეჯის გერბითა და ბეჭდით დამოწმებული სერთიფიკატი – ორი პროფესიული სპეციალობის აღიარების დამადასტურებელია.

სასწავლებელში სწავლის მსურველმაა ბიტურიენტებმა უნდა წარმოადგინონ შემდეგი საბუთები:

1. **განცხადება კოლეჯის დირექტორის სახელზე.**
2. **საბაზო ან საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი.**
3. **პირადობის მოწმობის ასლი.**
4. **ორი ფოტოსურათი 3X4**

საბუთების მიღება მიმდინარეობს.
საკონტაქტო ინფორმაცია:
მისამართი: ქ.საგარეჯო, ლეონიძის ქ. 33ა
E-mail: iliasagarejo@gmail.com
www.iliaedu.ge
ტ – 0 (351) 242436, 555 513-228, 598 650-849

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულება (ავტორიზებული პროფესიული კოლეჯი „ილია“)დაფუძნებულია 2000წლის 25 დეკემბერს დამფუძნებელთა საბჭოს გადაწყვეტილებით. მისი იურიდიული მიამართია ქ.საგარეჯო, ლეონიძის ქ. 33ა

სასწავლებელმა თავისი 14წლიანი არსებობის პერიოდში რამდენჯერმე შეიცვალა სახელი,მაგრამ არ შეუცვლია თავისი მიზანი და დანიშნულება. კოლეჯი გამოირჩევა თავისი ხარისხიანი განათლებით, პერსპექტიული დასაქმების პროგრამით, სერიოზული, მაგრამ თბილი დამოკიდებულებით ახალგაზრდა თაობის მიმართ.

კოლეჯის მისიაა - კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადება და მათი დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობა. ხარისხიანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, საუკეთესო კომფორტული სასწავლო გარემოს შექმნა, თავისუფალი, დემოკრატიული და სოციალურად სამართლებრივი გარემოს უზრუნველყოფა.

რაიონში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობებისათვის ქართულენოვან მოსახლეობასთან ინტეგრაციის მექანიზმის შექმნა, დანერგვა, პროფესიული განათლება და დასაქმება.

კოლეჯი „ილია“ არის საქართველოს კერძო კოლეჯების ასოციაციის ასოცირებული წევრი, რაც ნიშნავს, რომ კოლეჯი იცავს საგანმანათლებლო ეთიკისა და სწავლების მაღალ სტანდარტებს, არის ავტორიზებული და მის მიერ გაცემული დიპლომები აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

ავტორიზებული პროფესიული კოლეჯი „ილიას“ მიერ გაცემულ დიპლომებს აღიარებს ასეულობით დამსაქმებელი, კერძო და საჯარო სექტორი, მსხვილი, საშუალო და მცირე ბიზნესი.

თქვენი განათლებისა და პროფესიული განვითარების სამსახურშია ათეულობით პროფესიული, კვალიფიციური მასწავლებელი, გამართული სასწავლო ინფრასტრუქტურა და პრაქტიკის ბაზები.

„ილიას“ კოლეჯს აქვს დაბალი სასწავლო გადასახადი და გადახდის მოქნილი მექანიზმი,რაც ხელსაყრელს და ხელმისაწვდომს ხდის „ილიას“ კოლეჯში სწავლას.

მთელი სასწავლო წლის განმავლობაში სტუდენტები ჩართულნი არიან სასწავლო და შემეცნებით–გასართობ ღონისძიებებში. ხშირი ექსკურსიები სხვადასხვა ისტორიული ძეგლების მოსანახულებლად, კონფერენციები, შეხვედრები გამოჩენილ ადამიანებთან, კაფე-სადამოები და მხიარულთა და საზრიანთა გუნდების შეჯიბრებები მეტად საინტერესო და მიმზიდველს ხდის კოლეჯში სწავლას.

კოლეჯი გამოირჩევა დასაქმების მაღალი მაჩვენებლებით ყველა დარგში.

სასწავლებელი უშვებს ბუღალტრებს, ოფისის მენეჯერებს, ექთნის თანაშემწეებს და კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსებს.

ბუღალტრის სპეციალობაზე სტუდენტები ეუფლებიან აღრიცხვის თეორიას, საგადასახადო სისტემას, ფულის ბრუნვის მექანიზმს. ამიტომ ისინი წარმატებით საქმდებიან ბანკებსა და ყველა ტიპის კერძო და სახელმწიფო საწარმოო დაწესებულებებში ბუღალტრებად და მოლარეებად.

ექთნის თანაშემწეებს ელის ნებისმიერი საავადყოფო, რადგან დღეისათვის ქვეყანა განიცდის ექთნის თანაშემწის კვალიფიკაციის კადრის დეფიციტს.

ოფისის მენეჯერის სპეციალისტების მეტისმეტად დიდი მოთხოვნაა დღეს საქართველოში ყველა დარგში, იქნება ეს კერძო თუ სახელმწიფო ორგანიზაციები, მაღალი დონის საქმისწარმოება ყველა ორგანიზციას ერთნაირად სჭირდება.

კომპიუტერული ქსელებისა და სისტემების ტექნიკოსების დიდი მოთხოვნაა ამჟამად ყველა ტიპის წარმოება დაწესებულებაში, რადგან დღეს წარმოება არ არსებობს კომპიუტერის გარეშე, ყველგან საჭიროა ქსელის შექმნა და მისი ადმინისტრირება. ტექნიკოსებს თვითდასაქმების დიდი შანსიც აქვთ.

კოლეჯში მოქმედებს განათლების მიღების განსხვავებული მექანიზმიც – ინდივიდუალური გრაფიკი.

სწავლების ეს ფორმა მეტად გამოადგებათ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკებს, სკოლის მოსწავლეებს, რომლებიც გადაწყვეტენ სკოლიდან მოუწყვეტლად სწავლას.

კოლეჯში მუშაობს განმავითარებელი სასერთიფიკატო პროგრამებიც – ფარმაცევტის თანაშემწის, პრაქტიკოსი ექთნის, ბაგა–ბაღის აღმზრდელის, საბაჟო წარმომადგენლის, გიდი და სხვა, რაზეც გაიცემა სერთიფიკატი კოლეჯის გერბითა და ბეჭდით დამოწმებული.

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებლო დაწესებულების კარი ღიაა ყველა იმათთვის, ვისაც სურს სერიოზული განათლების მიღება და დასაქმება.

მისამართი: ქ.საგარეჯო, ლეონიძის ქ. 33ა
E-mail: iliasagarejo@gmail.com
www.iliaedu.ge
ტ – 0 (351) 242436, 555 513-228, 598 650-849

შალვა გზირიშვილის სახელობის ტურნირზე

შალვა გზირიშვილის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ, აიპ „საგარეჯოს სპორტგაერთიანების“ დირექციამ, ამაგდარი ფალავნის მადლიერმა აღზრდილებმა სახელოვანი ფალავნის ხსოვნის უკვდავსაყოფად საგარეჯოს მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ეზოში არსებულ ღია საჭიდაო მოედანზე ჩაატარა ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ასპარეზობაში, რომელსაც სპორტის ოსტატი გია მარხვაშვილი მსაჯობდა, მონაწილეობის მისაღებად მოჭიდავეები ახმეტიდან, ყვარლიდან, დედოფლისწყაროდან, სიღნაღიდან, ლაგოდეხის, მარნეულის მუნიციპალიტეტებიდან, თბილისიდან, მარტყოფიდან ჩამოვიდნენ. ასპარეზობა წრიული სისტემით 6 წონით კატეგორიაში ჩატარდა. პირველად 55 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონობა არავის დაუთმო სამბოში ევროპის ჩემპიონმა მანაველმა ირაკლი კუპატაძემ. ამავე წონაში მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა დედოფლისწყაროელი გიორგი წიკლაური. მესამე ადგილები გაიყვეს სოსო დურიშვილმა (საგარეჯო) და გიორგი თვაურმა (დედოფლის წყარო).

60 კგ წონით კატეგორიაში უძლიერესი იყო ახმეტელი ნიკო ჭიკაიძე. მეორე ადგილი დაიკავა სულიკო თედიაშვილმა, მესამეები – ლაშა მათიაშვილმა და ნიკა ყუშიტაშვილმა (სამივე საგარეჯო).

66 კგ წონით კატეგორიაში იმარჯვა და ჩემპიონი გახდა ზაზა როსტომაშვილი (საგარეჯო). მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა ნიკა კოჭლამაზაშვილი (ყვარელი), მესამე ადგილებზე – გიორგი დიდებაშვილი (თბილისი) და ბაჩანა ჭიკაიძე (დ/წყარო).

73 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონი გახდა მანაველი ოთარ კაციაშვილი, მეორე ადგილზე გავიდა ლაგოდეხელი თორნიკე მახათაძე, მესამეზე – დათო ჭიკაიძე (ახმეტა) და ბექა სუკასიანი (საგარეჯო).

81 კგ წონით კატეგორიაში პირველობა ახმეტელმა ვანო ჩურჩხელაშვილმა მოიპოვა, მეორე ადგილზე გავიდა დედოფლისწყაროელი ცოტნე წიკლაური, მესამეზე – გელა ქალდანი (მარნეული) და იმედა გოგოლაძე (ლაგოდეხი).

აბსოლუტურ წონაში, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ სხვა ჯილდოებთან ერთად დაწესებული იყო ჭედილა. ჩემპიონი და ამ ჯილდოს მფლობელი გახდა 81 კგ წონით კატეგორიაში გამარჯვებული ვანო ჩურჩხელაშვილი; მეორე ადგილზე გავიდა ლაგოდეხელი ლევან მაჭარაშვილი; მესამე ადგილები გაიყვეს ზაურ მამარდაშვილმა (საგარეჯო) და ოთარ კაციაშვილმა (საგარეჯო).

ტურნირის გამარჯვებულ და სხვა საპრიზო ადგილებზე გასულ ფალავნებს გადაეცათ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესაბამისი თასები, მედლები და სიგელები.

მ. დაგახიშვილი

სწავლას ჭადრაკში გამარჯვებებით იწყებს



აიპ „სგარაეჯოს სპორტგაერთიანების“ ჭადრაკის მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის 10 წლის აღსაზრდელს ნიკოლოზ კევლიშვილს საჭადრაკო დაფებზე მოპოვებული წარმატებებით არაერთხელ გაუხარებია ბრძენთა თამაშის საგარეჯოელი მოყვარულები. პირველი წარმატება მან ჯერ კიდევ 7 წლის ასაკში იზეიმა, როცა გახდა კახეთის ჩემპიონი და ეს ტიტული შემდეგშიაც რამდენჯერმე მოიპოვა სხვადასხვა ასაკში. ბათუმის საერთაშორისო ტურნირის ორგზის გამარჯვებული, საქართველოს შარშანდელი პირველობის ვიცე-ჩემპიონი და ევროპის თასის გათამაშების IV ადგილის მფლობელი მონაწილეობდა ჩერნოგორიაში გამართულ ევროპის ჩემპიონატში. ნიკოლოზ კევლიშვილმა წარმატებით იასპარეზა ქალაქ ფოთში გამართულ ფოთის IX საერთაშორისო საჭადრაკო ფესტივალში – „ნანა ალექსანდრიას თასი – 2014“ 10-წლიანთა შორის. ტურნირში საქართველოს გარდა მონაწილეობდნენ: აზერბაიჯანის, სომხეთის, ირანის, ერაყის, რუსეთის, უკრაინის, თურქეთის მოჭადრაკეები – სულ 41 მონაწილე. ნიკოლოზი ამ ასპარეზობაში ფიდეს სარეიტინგო კოეფიციენტით – 165,7 ჩაება. გათვალისწინებული 9 ქულიდან მან 7 გამარჯვებით და 2 ყაიმით 8 ქულა დააგროვა და ფესტივალის ჩემპიონობა იზეიმა. ამ შედეგით მან 1 ქულის სხვაობით უკან ჩამოიტოვა II ადგილზე გასული ირანელი მაჰან რემაზანი, ხოლო III ადგილზე გასულ სომეხ არმენ გრიგორიანს 1,5 ქულით გაუსწრო. ამ წარმატებისათვის ნიკოლოზი დაჯილდოვდა ნანა ალექსანდრიას სახელობის თასით, მედლით, დიპლომითა და ფულადი ჯილდოთი (450 ლარი).

გივი დაგახიშვილი

მადლობა ქალბატონო თინა

ჩვეულებრივი დილა გათენდა ჩემთვის – თუმცა მზიანი, მაგრამ მოწყენილი, უფერული და ნაღვლიანი. ასეთ დღეებს მე უკვე თითქმის მივეჩვიე. ვფიქრობდი სასექტემბრო პრობლემებზე და კიდევ ვერც გეტყვით რამდენ ტკივილზე... ამ დროს ჭიშკართან მსუბუქი მანქანა გაჩერდა. შორიდან შევნიშნე, რომ მანქანა სავსე იყო. მანქანიდან ქალბატონი ცინარი კონიაშვილი და ქალბატონი ლალი გრატიაშვილი გადმოვიდნენ და მითხრეს, რომ ქ-ნმა თინა ხიდაშელმა შენთან საჩუქრები გამოგვატანაო. საჩუქრებს ბოლო არ უჩანდა, უამრავი პროდუქტი და და უამრავი სასექტემბრო საჩუქრები გადმომცემს. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, თუმცა ის არ იყო პირველი შემთხვევა, როცა პარლამენტის წევრი ქ-ნი თინა ხიდაშელი ჩემზე ზრუნავდა.

მადლობისათვის ქ-ნ თინას შევხვდი. მან თბილად მიმიღო და მითხრა, რომ პერიოდულად შეამოწმებდა ჩემს აკადემიურ მოსწრებას სკოლაში, კვლავაც იზრუნებდა ჩემთვის და ჩემი მომავლისათვის.

ქ-ნო თინა

კიდევ ერთხელ გიხდით მადლობას ჩემზე მზრუნველობისათვის და გპირდებით, რომ ჩემი აკადემიური მაჩვენებლები ყოველთვის იქნება სასურველი.

მიყვარხართ, ქ-ნო თინა, მე უკვე მიხარია 15 სექტემბრის დადგომა.

ვარდიკო

განცხადება

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებო დაწესებულება – კოლეჯი აცხადებს კონკურსს სარეკლამო აგენტის ვაკანტურ სამუშაო ადგილზე

დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:

1. CV – რეზიუმე
2. პირადობის მოწმობის ასლი
3. განცხადება კონკურსში მონაწილეობის მისაღებად
4. უმაღლესი/პროფესიული განათლების დიპლომი
5. ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებო დაწესებულების რეკლამის ნიმუში
6. სხვადასხვა კატეგორიის ადამიანთა ჯგუფებთან რეკლამის–პრეზენტაციის ზოგადი მონახაზი.

პიროვნული თვისებები:

1. ადამიანებთან ურთიერთობის უნარი
2. პრეზენტაციის უნარი
3. ანალიტიკური, ლოგიკური აზროვნების უნარი
4. პასუხისმგებლობის გრძნობის მაღალი დონე.

ხელფასი შეთანხმებით.

ილია ჭავჭავაძის სახელობის ქ.საგარეჯოს საგანმანათლებო დაწესებულების დირექცია

ახალი წიგნი

ჩვენი სახელოვანი მამულიშვილი

არაფერია ამ ქვეყნად ქართველი კაცისათვის ვაზზე ძვირფასი. მევენახეობა ძველთაგანვე ქართველი ხალხის მატერიალური სიძლიერის ერთ-ერთი ძირითადი წყარო იყო და არის. ქართველი კაცისათვის ვაზს ჯერ კიდევ უძველეს დროში ჰქონდა განსაკუთრებული მნიშვნელობა. ჩვენში ქრისტიანობის გავრცელებამ, თვით წმინდა ნინოს ჩვენს ქვეყანაში ვაზისგან შეკრული ჯვრის შემოტანამ სიმბოლურად მეტი დატვირთვა მისცა და ვაზის კულტურის აღორძინებას კიდევ უფრო მძლავრი საფუძველი ჩაუყარა.

ყოველ დარგს თავისი თანმდევი პრობლემები გააჩნია, ასეა მევენახეობაც. მისი განვითარებისა და წინსვლისათვის ბევრ მამულიშვილს და მევენახეს აქვს შეტანილი წვლილი. მათ შორის ერთ-ერთი ჩვენი თანამოქალაქე თამაზ ქვლივიძეა.

თამაზ ქვლივიძე ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უდიდესი ღვაწლმოსილი მევენახე და გამომგონებელია. ახლახანს გამოვიდა მისი კიდევ ერთი წიგნი „ვაზი – ჩვენი სიამაყე“.

წიგნის გადაშლისთანავე ადამიანს სიამაყის გრძნობა გეუფლება, რომ მისი ავტორი ჩვენი მუნიციპალიტეტის წარმომადგენელია.

წიგნში მწვავედ არის დაყენებული ის პრობლემები, რაც მევენახეობის დარგში წლების განმავლობაში უყურადღებობის, უცოდინრობის გამო დაგროვდა. წიგნი ვაზისადმი დიდი სიყვარულით, მოფერებით და პატივისცემით არის დაწერილი. ვაზის მოვლა-მოყვანის მთელი ტექნოლოგიური პროცესები – ვენახის გაშენებიდან მოსავლის აღებამდე.

წიგნში მოკლედ, მაგრამ შესანიშნავად არის დაწერილი ვაზის კულტურის ისტორია საქართველოში.

ბატონ თამაზ ქვლივიძეს მე, ამ წერილის ავტორი ასპირანტურაში სწავლის დროიდან ვიცნობ, როდესაც ის თავის მნიშვნელოვან გამოგონებას იცავდა ახლანდელი აგრარული უნივერსიტეტის კათედრებზე და საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის სხდომებზე. ბევრი მისი გამოგონება ჯერ კიდევ კომუნისტურ პერიოდში დაინერგა სოფლის მეურნეობაში. მევენახეობის ახლებურად განვითარებაზე, მის აქტუალობაზე მას ბევრი მწვავე წერილი აქვს დაწერილი. გამოგონებისათვის ბევრჯერ დაჯილდოვდა ოქროს მედლებით. 1986 წელს გამოგონებისათვის მიღებული ჯილდო 20000 მანეთი მან სრულად გადარიცხა ჩერნობილის დახმარების ფონდში.

ვიცნობდი, როგორც დამსახურებულ გამომგონებელს, უნიჭიერეს კაცს, მაგრამ არანაკლებად შესძლებია ლამაზი ლექსების წერაც. მინდა მივულოცო ახალი წიგნის გამოსვლა, რომელიც მისი ლექსებითა და ნახატებითაც არის დამშვენებული, ვუსურვო ჯანმრთელობა და ბევრი წარმატებები ცხოვრებაში და შემოქმედებით ასპარეზზე. დიდხანს გევლოს ჩემო თამაზ კეთილი გულით და ნამუსის ქუდით ამ ქვეყანაზე.

პატიცისცემით:

ნიკო ჯავახიშვილი,

აგროინჟინერიის დოქტორი, საქართველოს საინჟინრო აკადემიის მრჩეველი

გთავაზობთ

1. გერმანული (ORACAL) ფირმის მეშვეობით თვითწებადი წარწერების, ფირმის ლოგოს, სტიკერების დამზადებას.
2. მცირეტირაჟიანი პროდუქციის წებოვანი ეტიკეტების ფერად ბეჭდვას.
3. ფერად ფლაერებს, ბუკლეტებს, სავიზიტო ბარათებს ლაზერული და მეტალიზებული ბეჭდვით.
4. დესკსტოპ კომპიუტერების შეკეთება-გაძლიერებას და მის აქსესუარებს.

დაგეხმარებით თქვენი ფირმის თუ ორგანიზაციის საფირმო ლოგოს დამზადებაში.

5. მაისურზე, ჭიქაზე ფერად ბეჭდვას თქვენი დიზაინით, სარკეზე გრავირებას.

დაწვრილებთი ინფორმაცია ჩვენს საიტზე:

WWW.madstudio.ge
email: madstudioge@yahoo.com
support@madstudio.ge
599 172622. საგარეჯო.

განცხადება

მოსამზადებელი ცენტრი შპს **„ცოდნა-2014“** გთავაზობთ აბიტურიენტებისათვის და უფროსკლასელებისათვის საატესტატო და ეროვნული გამოცდებისათვის მომზადებას ყველა სასურველ საგანში.

მოგემსახურებიან თბილისიდან მოწვეული გამოცდილი რეპეტიტორები.

სასწავლო პროცესი წარიმართება ქ. საგარეჯოში, რუსთაველის ქ. №248/2 (ყოფილი მეურნეობის შენობაში) მოსამზადებელი ფასები მინიმალურია, ხარისხი – მაღალი. საატესტატო გამოცდის ნებისმიერი 4 საგანი – 150 ლარი. ეროვნული გამოცდების ძირითადი 3 საგანი (ქართული, ინგლისური, ზოგადი უნარები) – 150 ლარი. დანარჩენი საგნების შერჩევა და თანხის დაკონკრეტება შეთანხმებით. სწავლა დაიწყება 1 ოქტომბერს.

ასევე გთავაზობთ დაწყებითი კლასებისათვის (I-IV კლასი) გახანგრძლივებულ ჯგუფს, რომელიც იმუშავებს დღის II ნახევარში.

რეგისტრაციისათვის ***მიმართეთ ქ. საგარეჯო, რუსთაველის ქ. №248/2. 1 სექტემბრიდან ყოველდღე 12-17საათებში.***

ტელ: 591 150 915 ია კუპატაძე

გამოსათხოვარი

მალხაზ ბაბუნიძე

მართლაც რომ უცნაურია კაცთა ცხოვრება. გიორგიწმინდაში დაბადებულმა და გაზრდილმა სამხედრო-სავალდებულო სამსახური 1996-1998 წლებში მოიხადა. 2002 წელს ვაუკაც მეომართა რიგებში ჩაეწერა – კომანდოს ბატალიონის მებრძოლი გახდა. ეს ბატალიონი დაარსების დღიდან საქვეყნოდ კი არა, მსოფლიოს მასშტაბით წარმოადგენდა სიმამაცისა და სამშობლოს, სამხედრო საქმისადმი ერთგულთა სინონიმს. 2004-2006 წლებში ერაყის სამშვიდობო მისიის უშიშარი მეომარი, 2008 წლის აგვისტოს ომის მონაწილე, ყველაზე გაბედული და ქართული მიწის ერთგული, ქართული ჯარის IV ქვეითი ბრიგადის 42-ე ბატალიონის მეომარი – მალხაზ ბაბუნიძე ერთი იმათთაგანი იყო, ვინც ყოველ წუთს სიკვდილს უყურებდა თვალებში – არ ჰქონდა მნიშვნელობა ის ერაყში იყო საქართველოს ავტორიტეტის ასამაღლებლად თუ საკუთარი, მშობლიური მიწის გადამთიელთაგან დასაცავად. იყო გაბედული, მამაცი, ერთგული, უდალატო, გულისხმიერი, მეგობრული, უზომოდ კაცთმოყვარე, ყურადღებიანი. იქ, ბრძოლებში, ტყვიების წვიმაში სიკვდილს გადაურჩა, მაგრამ აქ, თავის მშობლიურ მიწაზე ქართველისგან გასროლილმა ტყვიამ იმსხვერპლა მისი სიცოცხლე. ივლისში 38 წელი შეუსრულდა. აგვისტოს ომს გადარჩენილი აგვისტოს გადაურჩა. სამუდამოდ გაცივდა მუდამ მეგობრებისათვის ანთებული გული, ერაყის, სამაჩაბლოს ბრძოლით მიწამოვლილი გიორგიწმინდის მშობლიურმა მიწამ ჩაიხუტა და ბევრი, ძალიან ბევრი ქართველი დავრჩებით მისი სიყვარულისა და უღალატო ერთგულების ვალში. შენ ერთი საუკუნის წინ დაბადებულს ჰგავდი შენი კაცთმოყვარეობით, იმიტომ ვერ გაგიგო იმ ერთადერთმა, რომელმაც იქნებ გაუთვითცნობიერებლადაც გამოჰკრა თითი ჩახმახს...

ყველას გვიყვარდი და ყველას გვენანები, შენისთანა გულის პატრონი სწორედ რომ ჩვენც გვჭირდებოდა და საქართველოსაც!

ნათელში ამყოფოს უფალმა შენი სპეტაკი სული, მალხაზ.

საბეგობრო

რედაქტორი:
თინათინ ილაური

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორში“.

ტელეფონები: 24-32-07 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne1@hotmail.com